ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნატო დავითაშვილი

დამოუკიდებლობის რეფერენდუმი შოტლანდიაში და მის შედეგზე გავლენის მომხდენი ფაქტორები

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი სოფიო პეტრიაშვილი;
თანახელმძღვანელი:
დოქტორანტი, (მოწვეული ლექტორი) გიორგი ბადრიძე.

თბილისი
2019

ანოტაცია

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თვითგამორკვევისა და სეცესიის საკითხის განხილვა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხში მონაწილე ფაქტორების განსაზღვრა. ნაშრომი ეყრდნობა ნეოფუნქციონალიზმის თეორიას, რომლის მიხედვითაც, ეროკავშირში სახელმწიფოს სუვერნიტეტის როლი შემცირებულია. თანამშრომლობა ეკონომიკური სფეროდან თანდათან გადადის სხვა სფეროებში, რასაც საბოლოოდ ზეეროვნული პოლიტიკური მთავრობის შექმნამდე მივყავართ; ეს ზეეროვნული მთავრობა კი უფრო და უფრო მეტი ძალაუფლებით აღჭურვილი ხდება. წინა პლანზე წამოწეულია ლოიალურობა ამ ზეეროვნული ორგანოების მიმართ, რის ფონზეც ნაციონალიზმის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საკითხები უკან იწევს.

აღნიშნული საკითხი განხილულია შოტლანდიის 2014 წლის რეფერენდუმის მაგალითზე, რომლის შედეგადაც შოტლანდიამ არჩია გაერთიანებაში დარჩენა და დამოუკიდებლობაზე უარი თქვა. ამის გამომწვევი მიზეზი იყო ევროკავშირის პოზიცია დამოუკიდებელი შოტლანდიის ევროკავშირში დარჩენის შესახებ. გამოკვლეულია მოსახლეობის განწყობა, სადაც ჩანს ევროკავშირის მიმართ მისი დამოკიდებულება და მთავარი ღირებულებები, რაც გახდა აღნიშნული არჩევანის გაკეთების მიზეზი.

Annotation

The purpose of the thesis is to discuss the issues of self-determination and secession and to determine the interveining factors in the issue of obtaining independence. The work is based on the theory of Neofunctionalism, according to which the sovereignty of the state in the EU is diminished. Cooperation in economics leads to integration in other fields, which ends with creation of supranational political government; this government becomes more and more powerful, the loyalty towards the supranational institutions is highlighted, while the issues of nationalism, independence and sovereignty are sited on the background.

The case which is chosen to examine the mentioned issues is the Scottish Independence Referendum 2014. As a result, the Scottish people has chosen to stay in the Union and rejected the independence. The main cause of this was the position of the EU about independent Scotland's EU membership. In the research there is examined also the attitudes of the Scottish population; their attitudes to the EU and the main values that were the motivation of their choice - voting No.

სარჩევი

შესავალი ---------- 5

საკითხის აქტუალობა და კვლევის მიზნები ---------- 7

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა ---------- 7

თეორიული მიმოხილვა ---------- 8

კვლევის მეთოდები, დიზაინი და წყაროები ---------- 10

ცვლადები, მათი განსაზღვრა და შემოწმება ---------- 11

ზოგადი ცნობები შოტლანდიის შესახებ და მოკლე ისტორია ---------- 12

გზა დამოუკიდებლობის რეფერენდუმამდე ---------- 14

„Yes“ და „No“ კამპანიები, მათი არგუმენტები და გავლენა ---------- 15

დებატები შოტლანდიის ეკონომიკური მომავლის შესახებ ---------- 18

თავდაცვა და უსაფრთხოება ---------- 22

ევროკავშირის წევრობის საკითხი და მისი მნიშვნელობა დამოუკიდებელი შოტლანდიისთვის ---------- 23

ევროკავშირიდან მიღებული სარგებელი ---------- 25

შოტლანდია - ევროკავშირის განუყოფელი ნაწილი ---------- 32

სირთულეები ხელახალ გაწევრიანებასთან დაკავშირებით ---------- 35

მოსახლეობის იდენტობა და განწყობა ---------- 42

ბრიტანეთში დარჩენის შედეგი: Devo-max და მეტი ძალაუფლება ვესტმინსტერისგან ---------- 48

დასკვნა ---------- 54

შეზღუდვები ---------- 55

ბიბლიოგრაფია ---------- 56

დანართი ---------- 59

შესავალი

2014 წლის 18 სექტემბერს შოტლანდიაში ჩატარდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი კითხვით : „უნდა იყოს შოტლანდია დამოუკიდებელი ქვეყანა?“ რეფერენდუმი დამთავრდა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენის მომხრეთა გამარჯვებით. მოცემული ნაშრომის მიზანია სწორედ ამ შედეგების ახსნა, თუ რატომ უპასუხა შოტლანდიელმა მოსახლეობამ რეფერენდუმის კითხვას უარყოფითად და რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე.

აღნიშნულ მოვლენას წინ უძღოდა მთელი რიგი პროცესები:

აღსანიშნავია, რომ შოტლანდიაში 1997 წელს ჩატარდა რეფერენდუმი დევოლუციის შესახებ, რომლის შედეგადაც შოტლანდიამ მოიპოვა პარლამენტი, საკანონმდებლო ორგანო (Kerr, 2017), რომელმაც 1999 წელს დაიწყო ფუნქციონირება ჰოლირუდის სასახლეში და რომელშიც ოთხი წლის შემდეგ, 2001 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, უდიდესი უმრავლესობით შევიდა შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრე ნაციონალური პარტია. ამის შემდეგ შოტლანდიისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები შეთანხმდნენ, რეფერენდუმს გადაეწყვიტა შოტლანდიის გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფის საკითხი (რადიო თავისუფლება, 2014).

2007 წლის არჩევნებში შოტლანდიის ნაციონალური პარტიის (SNP) გამარჯვება და შოტლანდიის პარლამენტში 129-დან 47 ადგილის დაკავება უკვე ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ეს ნიშნავდა შოტლანდიის დამოუკიდებლობის იდეის გაძლიერებას. 2007 წლის აგვისტოში SNP-მ გამოაქვეყნა დოკუმენტი (National Conversation), რომელიც ეხებოდა შოტლანდიის კონსტიტუციურ მომავალს, რაც ითვალიწინებდა მის დამოუკიდებლობას. კავშირში დარჩენის მომხრეებმა პარლამენტში ძალაუფლების გადანაწილების გადახედვა მოინდომეს. შედეგად შეიქმნა ე.წ. კალმანის კომისია, რომლის დანიშნულება იყო გადაეხედა შოტლანდიის 1998 წლის აქტისთვის და ჩამოეყალიბებინა რეკომენდაციები არსებული კონსტიტუციური წყობის ცვლილების შესახებ, რაც უზრუნველყოფდა შოტლანდიის პარლამენტის მუშაობის გაუმჯობესებას, მოსახლეობის უკეთეს მომსახურებას, მისი ფინანსური ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას და შოტლანდიის ადგილის განტმკიცებას

ბრიტანეთის შემადგენლობაში. კომისიის რეკომენდაციები იყო შოტლანდიას მიეღო გარკვეული გადასახადების მართვის უფლება.

შოტლანდიის მთავრობამ 2009 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა თეთრი წიგნი - „შენი შოტლანდია, შენი ხმა: ეროვნული დიალოგი," რომელმაც წარმოადგინა შოტლანდიის მომავლის ოთხი ვერსია: 1. სტატუს-ქვო; 2. კალმანის კომისიის რეკომენდაციების იმპლემენტაცია; 3. შოტლანიისთვის მაქსიმალური უფლებებისა და პასუხისმგელობების გადაცემა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში (Devolution Max) და 4. დამოუკიდებლობა. საბოლოოდ ორი ვერსია გამოიკვეთა: კალმანის კომისიის მიხედვით გათვალისწინებული მეტი უფლებების მიღება კავშირის შემადგენლობაში და SNP-ს შემოთავაზებული დამოუკიდებელი შოტლანდია (Mcharg, Mullen, Page & Walker, 2016).

2011 წელს SNP-მ მოიპოვა პარლამენტში უმრავლესობა, 129 ადგილიდან 69. შოტლანდიის მთავრობა აღიარებდა რომ ბრიტანეთისგან საჭირო იქნებოდა შოტლანდიის დამოუკიდებლობის აღიარება და ლეგიტიმაცია, თუმცა ამასთან ერთად ის ამტკიცებდა, რომ შოტლანდიას ჰქონდა უფლება გაეგო საკუთარი ხალხის აზრი და ჩაეტარებინა რეფერენდუმი. გაერთიანებული სამეფოს მთავრობისგან მათ მიიღეს რეფერენდუმის ჩატარების უფლება, ვინაიდან იგი აღიარებდა ნებისმიერი ხალხის თვითგამორკვევისა და საკუთარი მომავლის განსაზღვრის უფლებას, თუმცა თავის მხრივ დიდი ბრიტანეთი ამტკიცებდა, რომ რეფერენდუმის ჩატარება შეიძლებოდა მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ნებართვის საფუძველზე.

2012 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა ედინბურგის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც გადაწყდა რეფერენდუმის ჩატარება.

იქიდან გამომდინარე, რომ თავისუფლებისმოყვარე და ნაციონალისტური შოტლანდის ისტორიაში დიდი ხნის მანძილზე არსებობდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სულისკვეთება, რაც ბოლო დროს ამ იდეის მქონე პარტიის არჩევნებში გამარჯვებაში გამოიხატა და მოსახლეობის უმეტესობაც არსებული ფონის მიხედვით დამოუკიდებლობის მომხრე უნდა ყოფილიყო, 2014 წლის სექტემბერში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები ცოტა არ იყოს უცნაური და მოულოდნელი აღმოჩნდა. კითხვაზე: უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო?

მოსახლეობის 55%-მა უარყოფითად უპასუხა. მოცემული ნაშრომის მიზანი სწორედ ამ მოვლენის მიზეზების გამოკვლევა და იმ ფაქტორების გამოყოფაა, რამაც მიღებულ შედეგზე მოახდინა გავლენა.

საკითხის აქტუალობა და კვლევის მიზნები

ვფიქრობ ისეთი საკითხები, როგორებიცაა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, ნაციონალიზმი, რაც არ უნდა გლობალიზებული გახდეს მსოფლიო, მაინც არასდროს დაკარგავს აქტუალობას. ჩემი აზრით, რაც საინტერესოა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არის ის, რომ ნაციონალიზმის საკმაოდ მაღალი დონე არსებობდა შოტლანდიაში, საკმაოდ დიდი გზა გაიარა მან დევოლუციიდან დამოუკიდებლობამდე, შოტლანდიის ნაციონალისტური პარტია დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, რაც გამოიხატებოდა მისი გამარჯვებებით არჩევნებში და თითქოს ეს ყველაფერი მიუთითებდა მოსახლეობის მოტივაციაზე დამოუკიდებლობის მისაღწევად და თითქოს ვეღარაფერი შეაჩერებდა ამ პროცესს. თუმცა მიუხედავად ამ ყველაფრისა, ცოტა არ იყოს მოულოდნელად, მოსახლეობამ რეფერენდუმზე დამოუკიდებლობა მაინც არ აირჩია. საინტერესოა, რა ფაქტორებმა შეიძლება იმოქმედოს ასეთ შემთხვევაში და ამგვარი განწყობის არსებობის მიუხედავად რამ შეიძლება დაათმობინოს სუვერენიტეტი.

მოცემული კვლევის მიზანია, გამოიყოს ყველა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლებმაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გავლენა იქონია შოტლანდიის მოსახლეობის გადაწყვეტილებებზე და შესაძლოა გავლენა იქონიოს მსგავსი სახელმწიფოს ქცევებზე/გადაწყვეტილებებზე.

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა

ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვაა: **რატომ უპასუხა რეფერენდუმის კითხვაზე შოტლანდიის მოსახლეობამ „არა?“** რა იყო ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი რის გამოც შოტლანდიის მოსახლეობამ დამოუკიდებლობაზე უარი თქვა? მე ვფიქრობ, სავარაუდო პასუხი ამ კითხვაზე და შესაბამისად ჰიპოთეზა, რაც უნდა შემოწმდეს და კვლევის შედეგად დადასტურდეს, იქნება ის, რომ **შოტლანდიის მოსახლეობის მიერ დამოუკიდებლობის უარყოფის მიზეზი გახდა ის, რომ ევროკავშირი არ იყო თანახმა,**

დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში შოტლანდია ავტომატურად დარჩენილიყო მის წევრად.

ის, რომ ვეროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, შოტლანდია თავიდან უნდა გაწევრიანებულიყო კავშირში, რაც მოითხოვდა ყველა წევრის თანხმობას და ძალიან დიდ პრობლემებთან იქნებოდა დაკავშირებული, გახდა საფუძველი შოტლანდიის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა, რასაც მოჰყვა შედეგად დამოუკიდებლობაზე უარის თქმა.

თეორიული მიმოხილვა

ნაშრომში გამოვიყენებ ნეოფუნქციონალიზმის თეორიას, რომელიც ევროინტეგრაციის ერთერთი მთავარი თეორიაა და გულისხმობს ერთ სფეროში დაწყებული ინტეგრაციის თანდათანობით გადაღვრას სხვა სფეორებში, რომელიც საბოლოოდ საერთო პოლიტიკური მთავრობის შექმნამდე მიდის („Spillover"). ნეოფუნქციონალიზმი სახელმწიფოებს არ განიხილავს საერთაშრისო ურთიერთობების ერთპიროვნულ და უმთავრეს აქტორებად. ამის ნაცვლად, „დაბალ პოლიტიკაში" დაწყებულ ინტეგრაციას წარმოგვიდგენს როგორც სუპრანაციონალური ინსტიტუტების შექმნისა და განვითარების დასაბამს. ნეოფუნქციონალური თეორიის მთავარი ავტორები არიან ერნსტ ჰაასი და ლეონ ლინდერბერგი.

ბენ როსამონდი თავის წიგნში „ევროპული ინტეგრაციის თეორიები" ნეოფუნქციიონალიზმის სხვადასხვა ავტორებზე დაყრდნობით აყალიბებს ნეოფუნქციონალიზმის არსს და ეკონომიკური ურთიერთობებიდან სხვა სახის კავშირებში გადასვლისა და ერთიანი ევროპული საზოგადოების ჩამოყალიბების საფეხურებს:

1. პირველი ეტაპია ინტეგრაცია ე.წ. "დაბალ პოლიტიკაში" ("Low Politics") – ეკონომიკის დონეზე;
2. მეორე ეტაპი - ინტეგრაციის პროცესის საკონტროლოდ და მისი განვითარებისთვის უმაღლესი მმართველი ორგანოს შექმნა, ისე, რომ არ შეილახოს ქვეყნების ეროვნული ინტერესები.

3. ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია ქმნის ფუნქციურ წნეხს მომიჯნავე დარგების შესაერთებლად. ამ პროცესს უმაღლესი მმართველი ორგანო წარმართავს. შედეგად ხდება ეროვნული ეკონომიკების თანდათანობითი გადახლართვა, ვინაიდან ეს დარგები ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულნი არიან და მათი გამიჯვნა შეუძლებელია.
4. ინტეგრაციის პროცესში, ინტერესთა ჯგუფებს თავიანთი ლოიალურობა ადგილობრივი მმართველობიდან ნელ-ნელა ევროპული სისტემის სუპრანაციონალურ დონეზე გადააქვთ და შესაბამისად განსაზღვრავენ თავიანთ საქმიანობასაც.
5. გაღრმავებული ეკონომიკური ინტეგრაცია ქმნის ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბების საჭიროებას.
6. გაფართოებულ ეკონომიკურ ინტეგრაციას მივყავართ პოლიტიკური კავშირის შექმნამდე, ანუ ინტეგრაცია „დაბალი პოლიტიკიდან“ გადაიღვრება „მაღალ პოლიტიკაში“ („High Politics“). ანუ პოლიტიკური ინტეგრაცია ეკონომიკური ინტეგრაციის გარდაუვალი თანმდევი მოვლენაა.
7. ეკონომიკური ინტეგრაცია, სუპრანაციონალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან ერთად, ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების კარგი საშუალებაა. (Rosamond, 2000).

საერთაშორისო ორგანიზაციები და სუპრანაციონალური ინსტიტუტები თანდათან სულ უფრო მეტ ძალაუფლებას იძენენ და უფრო და უფრო გავლენიანი აქტორები ხდებიან, მაშინ, როცა სახელმწიფოები კარგავენ მნიშვნელობას. გარდა ამისა, წინა პლანზე გადმოდის სხვადასხვა არასახელმწიფო აქტორების მნიშვნელობა, როგორებიცაა სუბსახელმწიფოებრივი აქტორები, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები და ელიტები.

სახელმწიფოს მთავრობის მიმართ მოსახლეობის ლოიალურობა გადადის სუპრანაციონალურ დონეზე, ანუ საერთაშორისო ორგანიზაციები და ზეეროვნული ორგანოები ხდებიან ამ ლოალურობის ობიექტი - ისინი მოიპოვებენ ხალხის, სახელმწიფოს შიგნით არსებული სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების მხარდაჭერას.

ქვეყნის სუვერენიტეტის მნიშვნელობის დაკნინება და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კავშირების გავლენის ზრდა გამოიხატა შოტლანდიის ქმედებაშიც. მან ევროკავშირის გავლენით და მისი პოზიციის გათვალისწინებით გადააფასა ღირებულებები და დაალაგა პრიორიტეტები, შესაბამისად, თავისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი უკანა პლანზე გადაწია და მათ დაცვას არჩია ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის ურთიერთობათა გადარჩენა და სუპრანაციონალური მთავრობის მიმართ ლოიალურობა. ის ურთიერთობები, რომლებიც აკავშირებდა ევროპასთან მისთვის ბევრად მნიშვნელოვანი და მომგებიანი იყო, ვიდრე დამოუკიდებლობის შემთხვევაში იზოლაციაში აღმოჩენა და ყველა კავშირის დაკარგვა.

შოტლანდიის მოსახლეობის განწყობა ჩამოყალიბდა სუპრანაციონალური მთავრობის პოზიციისა და იმ მჭიდრო ურთიერთობების გავლენით, რომლებითაც ის უკვე მთლიანად ამ ზონის შესისხლხორცებული ნაწილი იყო და რაზეც უარის თქმა არც ისე ადვილი იქნებოდა.

კვლევის მეთოდები, დიზაინი და წყაროები

მოცემულ საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენებ კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. რაც შეეხება საკვლევ დიზაინს, გამოვიყენებ **Case Study** ტიპის დიზაინს, რომელიც ფოკუსირებას ახდენს ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე და შეისწავლის მის გამომწვევ მიზეზებს.

მონაცემები, რომელთა მოპოვებას და დამუშავებასაც ვაპირებ, იქნება დოკუმენტები, სამეცნიერო კვლევები და ნაშრომები, ინტერვიუები, გამოკითხვის შედეგები, ისტორიული ფაქტები და გამოცდილებები, საჯარო გამოსვლები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ მოვლენასთან.

გამოყენებული იქნება ძირითადად მეორადი წყაროები.

აღნიშნული კვლევისთვის, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი იქნება ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა შოტლანდიის ეკონომიკური დამოკიდებულება დანარჩენ ბრიტანეთსა და ევროკავშირზე; ბრიტანეთის შემოთავაზებების მნიშვნელობა და ის, თუ რა შედეგის მომტანი იქნებოდა ეს შემოთავაზებები; რეფერენდუმში მონაწილე

ამომრჩევლების სტრუქტურა. ამის მიხედვით ტენდენციების გამოკვეთა, ვინ მისცა ხმა გამოყოფას და ვინ დარჩენას? პოლიტიკური შეხედულებები და პარტიების მხარდაჭერა; "Yes" და „No" კამპანიების გავლენა; და ა.შ.

ცვლადები, მათი განსაზღვრა და შემოწმება

როგორც მოცემული ნაშრომისთვის გამოიკვეთა და როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ჰიპოთეზა გამოიყურება შემდეგნაირად: **შოტლანდიელი მოსახლეობის მიერ საკუთარი დამოუკიდებლობის უარყოფის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია ევროკავშირის პოზიცია - ანუ ის, რომ ევროკავშირი უარყოფდა დამოუკიდებელი შოტლანდიის ევროკავშირში ავტომატურად დარჩენას და ამბობდა, რომ იგი ახლიდან უნდა გაწევრიანებულიყო, როგორც ნებისმიერი სხვა მსურველი სახელმწიფო.** მოცემულ ჰიპოთეზაში <u>დამოუკიდებელი ცვლადია</u> ევროკავშირის პოზიცია, ხოლო <u>დამოკიდებული ცვლადი -</u> დამოუკიდებლობაზე უარის თქმა.

გამოყენებული ტერმინების განმარტება:

ევროკავშირის პოზიციაში ვგულისხმობ ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლების მიერ გამოხატულ პოზიციას - დამოუკიდებელი შოტლანდიის ავტომატურად კავშირის წევრად დატოვების უარყოფას და 49-ე მუხლის გამოყენების მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელ შოტლანდიას მოუწევდა ხელახლა გაწევრიანება კავშირში და ყველა წევრი სახელმწიფოსგან თანხმობა.

სუპრანაციონალური ინსტიტუტი - ზეეროვნული, საერთაშორისო დონეზე შექმნილი ორგანო, რომელიც ეროვნულ მთავრობებზე მაღლა დგას, რომელიც წევრ სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა და ამავე სახელმწიფოთა თანხმობით შექმნილი წესებით არეგულირებს მათ შორის ურთიერთობებს.

დევოლუცია - ძალაუფლების გადაცემა ცენტრალური მთავრობისგან დაქვემდებარებული რეგიონული ორგანოებისთვის.

რაც შეეხება მოცემული ცვლადების შემოწმებას, ანუ გამოთქმული ვარაუდის დადასტურებას, ან უარყოფას, ამისთვის ვაპირებ გამოვიკვლიო შოტლანდიის ეკონომიკური შესაძლებლობები და დამოუკიდებლობის შემთხვევაში მისი

პოტენციალი, სრულად განკარგოს საკუთარი ეკონომიკა; მისი ადგილი და მნიშვნელობა დიდ ბრიტანეთში; უსაფრთხოების საკითხის მოგვარების გზები; მისი დამოკიდებულება ბრიტანეთსა და ევროკავშირზე და დამოუკიდებლობის შემთხვევაში დანაკარგისა და მოგების შეფარდება; და ამის პარალელურად მოსახლეობის განწყობის კვლევა - რამდენად მაღალი იყო ნაციონალიზმის მაჩვენებელი და რამდენად იყო ის მზად დამოუკიდებლობისთვის; როგორი იყო მოსახლეობის დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ და სად მოიაზრებდა დამოუკიდებლობის შემთხვევაში შოტლანდიას; რა იყო მისთვის მთავარი ღირებულება და რა გახდა მისი მამოძრავებელი სტიმული ამ რეფერენდუმში.

ზოგადი ცნობები შოტლანდიის შესახებ და მოკლე ისტორია

შოტლანდია არის კუნძულ ბრიტანეთის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა, რომელსაც სახმელეთო საზღვარი აქვს მხოლოდ ინგლისთან. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ჩრდილოეთის ზღვა, დასავლეთიდან - ატლანტის ოკეანე და ირლანდიის ზღვა. ადრე შოტლანდია დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც საკუთარი მთავრობა მართავდა, ახლა კი დანარჩენ სამ ერთან ერთად (ინგლისი, უელსი, ირლანდია) გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შედის და ისინი ქმნიან ერთიან სახელმწიფოს. 1707 წელს შოტლანდიისა და ინგლისის პარლამენტები გაერთიანდა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტი გახდა. აქედან ჩაეყარა საფუძველი გაერთიანებული სამეფოს შექმნას. 1801 წელს ირლანდია შეუერთდა ინგლისისა და შოტლანდიის გაერთიანებას - დიდ ბრიტანეთს და შეიქმნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო.

შოტლანდია სამ საუკუნეზე მეტია, რაც არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ მან შეინარჩუნა საკუთარი კანონმდებლობა და უნიკალური კულტურა. 1999 წელს შოტლანდიაში ისევ აღდგა პარლამენტი, თუმცა მიუხედავად ამისა, ძირითად საკითხებს მაინც ვესტმისტერი აკონტროლებს.

დედაქალაქია აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი ედინბურგი; ხოლო უდიდესი ქალაქია გლაზგო, სადაც შოტლანდიის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი

ცხოვრობს. შოტლანდიის სხვა ქალაქებია აბერდინი, ინვერნესი, დანდი და სთირლინგი. მნიშვნელოვანი კუნძულები - შეტლანდი, ორკნი, ჰებრიდები.

შოტლანდიას უკავია ბრიტანეთის ტერიტორიის მესამედზე მეტი და მდებარეობს ბრიტანეთის კუნძულისა და ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მისი ფართობია 78 772 კმ² და როგორც უკვე ითქვა, მას ერთადერთი მოსაზღვრე ჰყავს და ეს არის ინგლისი.

მოსახლეობა - დაახლოებით 5,1 მლნ, ძირითადად შოტლანდიელები არიან. შოტლანდიაში გამოყენებული ენებია: ინგლისური, გელური და შოტლანდიური.

შოტლანდიის ისტორია, რამაც ჩვენამდე მოაღწია წერილობითი სახით, იწყება რომაელების შემოსვლით კუნძულზე - რომის მიერ ინგლისისა და უელსის ტერიტორიის დაპყრობიდან. დაპყრობილ ტერიტორიას რომაელებმა ბრიტანია უწოდეს. ხოლო ჩრდილოეთით მდებარეობდა კალედონიის სახელით ცნობილი მხარე, რომელიც რომმა ვერ დაიპყრო. კალედონიის ტერიტორია დასახლებული იყო პიქტებით, რომლებიც ზღვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. იმის გამო, რომ შოტლანდია ხელსაყრელ ადგილას მდებარეობდა, აქაურ ვაჭრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სამხრეთ და აღმოსავლეთ ბალტიის ქვეყნებთან; გარდა ამისა - ირლანდიასთან და საფრანგეთთან, ხოლო აქედან - მთელ ევროპასთან. 1707 წლის გაერთიანებისა და ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ შოტლანდია კომერციული, ინტელექტუალური და სამრეწველო თვალსაზრისით, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანა გახდა.

შოტლანდია დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა XIII-XIV საუკუნეებში; ეს ბრძოლა ძირითადად მას ინგლისთან ჰქონდა. პირველი ომი დაიწყო 1296 წელს ინგლისის მიერ შოტლანდიის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანით და დასრულდა 1332 წელს ედინბურგ-ნორთონმფთონის ხელშეკრულების დადებით. მეორე ომი მიმდინარეობდა 1332-1337 წლებში. იგი დასრულდა ბერვიქის შეთანხმებით.

ხსენებული ომების პერიოდი შოტლანდიელებისთვის ყველაზე მძიმე პერიოდად ითვლება. ამ ომების დასრულების შედეგად შოტლანდიამ თავისუფლება მოიპოვა.

2014 წელს შოტლანდიის ისტორიაში პირველად ჩატარდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, თუმცა ამ იდეას მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა არ მოუპოვებია.

გზა დამოუკიდებლობის რეფერენდუმამდე

მოცემულ თავში საუბარი იქნება იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა შოტლანდია დამოუკიდებლობის იდეამდე.

1979 წელს ჩატარდა რეფერენდუმი შოტლანდიის ასამბლეის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც წარუმატებლად დამთავრდა. შოტანდიელთა მხოლოდ მესამედმა დაუჭირა მხარი მის შექმნას, მეორე მესამედმა უარყოფითად უპასუხა, ხოლო მესამეს არ მიუღია მონაწილეობა რეფერენდუმში (www.bbc.co.uk). შემდეგი რეფერენდუმი, როგორც უკვე ვახსენეთ, 1997 წელს ჩატარდა შოტლანდიის პარლამენტის შექმნის მიზნით, რომელმაც შედეგი მოიტანა.

1997 წელს მიღებული დევოლუცია, რომლის შედეგადაც შოტლანდიამ მოიპოვა საკუთარი პარლამენტის ქონის უფლება, ითვლებოდა ყველაზე მნიშვნელოვან განვითარებად შოტლანდიის პოლიტიკურ ისტორიაში 1707 წლის გაერთიანების შემდეგ. ისტორიკოსის, პროფესორ ტომ დევინის მიხედვით, ეს ნამდვილად იყო მნიშვნელოვანი კატალიზატორი და წინაპირობა იმ განვითარებისა, რასაც ჰქონდა ადგილი დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩათვლით. დევინმა წამოწია საკითხი იმასთან დაკავშირებით, იქნებოდა თუ არა დამოუკიდებლობის შესაძლებლობა დევოლუციის გარეშე.

შოტლანდიის ნაციონალურმა პარტიამ დევოლუცია ჩათვალა, როგორც დასასრული მათი კონსტიტუციური ამბიციებისა, ამიტომ ის გამოვიდა ამ კონვენციიდან. თუმცა მოგვიანებით აზრი შეიცვალა და ისევ შეუერთდა მას, რადგან დევარმა, შოტლანდიის სახელმწიფო მდივანმა მათ პირობა მისცა, რომ შოტანდიის ბილს არ ექნებოდა ამ მხრივ შეზღუდვა, ეს მოვლენა ვერ შეაფერხებდა დამოუკიდებლობისკენ სვლას.

თუმცა მოგვიანებით, შოტლანდიელები უკმაყოფილოები იყვნენ მიღებული პარლამენტის უფლებამოსილებებით, ვინაიდან მას შეზღუდული უფლებები ჰქონდა.

ისინი ამბობდნენ, რომ თუ პარლამენტი არსებობს, რატომ არ უნდა ჰქონდეს ყველა ის ფუქცია, რაც აქვს ყველა ნორმალურ პარლამენტს. ყველა უფლებით აღჭურვილი პარლამენტი კი უკვე დამოუკიდებლობის ექვივალენტურია (Kerr, 2017).

ნელნელა მწიფდებოდა იდეა დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფის შესახებ, რაც ლოგიკურ ჯაჭვს ჰგავდა; გამოყოფის მომხრეთა აზრით, მხოლოდ შოტლანდიის პარლამენტს და შოტლანდიის მთავრობას შეეძლო წინ დაეყენებინა შოტლანდიელი ხალხის ინტერესები. დემოკრატია, ეკონომიკური კეთილდღეობა და სამართლიანობა იყო ის ძირითადი ღირებულებები, რომლებსაც SNP ასახელებდა დამოუკიდებლობის მთავარ მიზნად. მათი აზრით, ეკონომიკური და სოციალური ძალაუფლების საკუთარ ხელში აღება აუცილებელი პირობა იყო შოტლანდიის განვითარებისა და ეკონომიკურად ძლიერი და სამართლიანი ქვეყნის მშენებლობისთვის (Scottish Government, 2013). თუმცა საბოლოოდ, როგორც დავინახეთ, მოსახლეობის უმეტესობის მამოძრავებელი არ აღმოჩნდა ეს რწმენები.

„Yes“ და „No“ კამპანიები, მათი არგუმენტები და გავლენა

რეფერენდუმის წინა პერიოდში გამოიყო ორი დაპირისპირებული მხარე, გაერთიანებაში დარჩენის და გამოყოფის მომხრეები, რომლებიც ატარებდნენ კამპანიებს, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაერწმუნებინათ თავიანთ სიმართლეში. „Yes” და “No“ კამპანიის მომხრეებს ორივეს ჰქონდათ თავიანთი არგუმენტები. როგორც გამოყოფის, ისე დარჩენის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მოცემულ თავში საუბარი იქნება იმაზე, თუ რა არგუმენტებს იშველიებდნენ ეს მხარეები და რამდენად ეფექტური იყო მათი კამპანიების საქმიანობა, რამდენად მოახერხეს საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება.

დამოუკიდებლობის (Yes) და გაერთიანების (No) მომხრეთა კამპანიები ორივე სავსე იყო იმედით და შიშით. ორივე მათგანს თავისი არგუმენტები ჰქონდა, რა თქმა უნდა, და ორივე მათგანი გარკვეულ სიმართლეს შეიცავდა, მაგრამ საბოლოო ჯამში No–ს მხარდამჭერებს მაინც რეალური რამ ეჭირათ ხელში კოზირად, ის, რაც ჰქონდა შოტლანდიას, ანუ უკვე არსებული, დანახული და გარანტირებული, რაც შეიძლებოდა

სასწორზე აღმოჩენილიყო და საფრთხე დამუქრებოდა, ხოლო yes კამპანიის აქტივისტებს რეალური შედეგი არ ჰქონდათ ჯერ ხელთ, ეს უფრო ჰიპოთეტური რამ იყო, მომავლის რწმენა, რაც დროის საკითხია და რაზეც წინასწარ გარანტიებს ვერავინ მოგცემს. ხოლო უმრავლესობისთვის ეს რწმენა არც ისე ძლიერი აღმოჩნდა და რისკების გაწევისგან თავის შეკავება არჩია, რაც გამოჩნდა რეფერენდუმის შედეგებით.

No - ს მხარდამჭერების არგუმენტი იყო ის, რომ შოტლანდია გაერთიანებაში არსებულ სხვა წევრებთან შედარებით ყველაზე კარგ მდგომარეობაში იყო და ამიტომ მას არ უნდა ჰქონოდა გამოყოფის პრეტენზია. მას ყველაზე მეტი მოგება ჰქონდა და ოცდაათი წლის მანძილზე ის UK-ს ყველაზე ღარიბი ნაწილიდან ყველაზე მდიდარ ნაწილად გადაიქცა და ეს მოხდა სწორედ კონსერვატორული და ლეიბორისტული მთავრობების მმართველობის დროს, რომლებიც შოტლანდიის ნაციონალური პარტიისთვის მიუღებელი იყო. მათი აზრით, უსაფუძვლო იყო შოტლანდიის ამ მდგომარეობის გათვალისწინებით გამოყოფის სურვილი და მისთვის უკეთესი იყო გაერთიანებაში დარჩენა.

თუმცა მიუხედავად ამისა, ანტი–გაერთიანების მხარდამჭერების მთავარი არგუმენტი იყო დემოკრატიის დეფიციტი, და ეს სიმართლეს შეესაბამებოდა, შოტლანდია ნამდვილად ვერ იღებდა იმ ხელმძღვანელობას და იმ მმართველობას, რასაც ხმას აძლევდა. შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის ჩანაწერებში ფიქსირდება განსხვავებული პრიორიტეტები. მოსახლეობა არჩევნებში მონაწილეობის მიუხედავად ვერ ღებულობდა შესაბამის შედეგს და მმართველობას, რადგან შოტლანდიის წარმომადგენლებს გაერთიანებული სამეფოს პარლამენტსა და მთავრობაზე ნაკლები გავლენა ჰქონდა და დამოუკიდებლობა ერთადერთი გზა იყო იმისა, რომ შოტლანდიას გარანტირებულად მიეღო ის მმართველობა, რასაც აძლევდა ხმას. მთავარი არგუმენტი ამ საკითხთან დაკავშირებით იყო ის, რომ ეს მდგომარეობა დროებითი კი არ იყო, ანუ დროებითი დამარცხება არჩევნებში ან მსგავსი რამ, არამედ ის, რომ შოტლანდიელ ამომრჩეველს არ ჰქონდა კონტროლი ბრიტანეთის არჩევნების შედეგებზე. მთავარი პრობლემა იყო ინგლისის დომინირება, რომელსაც გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის 84% ჰქონდა.

კომპრომისი გაერთიანების მხრიდან, ანუ მეტი უფლებების გადაცემა, მეტი ავტონომია გარკვეულ საკითხებსა და სფეროებში შოტლანდიის მოსახლეობის აზრით, იქნებოდა დემოკრატიის ნაკლებობის პრობლემის ნაწილობრივ მოგვარება (Mcharg, 2016).

ერთერთი არგუმენტი ბრიტანეთში დარჩენის მსურველებისა, იმის ხაზგასმა იყო, რომ შოტლანდიელები ძალიან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ გაერთიანების დანარჩენ წევრებთან. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ გაზიარებულ ისტორიულ კავშირებზე. ამის ერთერთი მაგალითია პრემიერ მინისტრ გორდონ ბრაუნის მიერ არაერთხელ გაჟღერებული და მის წიგნში - „ჩემი შოტლანდია, ჩვენი ბრიტანეთი“ - დაფიქსირებული მოსაზრება, რომ ეს იყო არა ბრძოლა შოტლანდიასა და დანარჩენ ბრიტანეთს შორის, არამედ ეს იყო ბრძოლა ორ სხვადასხვა ხედვას შორის შოტლანდიის მომავალთან დაკავშირებით, მათგან ერთი ხედავდა შოტლანდიას აყვავებულს ძლიერი ედინბურგის პარლამენტით დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში და მეორე მხარე მის მომავალს ხედავდა გაერთიანებულ სამეფოსთან კავშირის გაწყვეტაში (Chikhoun, 2015).

თუმცა მხოლოდ ის, რომ ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში რომელიმე გაერთიანებაში იყო, ჩემი აზრით, არ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ დანარჩენი, დამოუკიდებლად არსებობის ბევრად მეტი საუკუნე და დამოუკიდებლობის შემთხვევაში მომავალი პერპექტივები, თუ ასეთი გელოდება, უგულებელყო. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ დაიშლებოდა ერთიანი სისტემა, ეს მხოლოდ პოლიტიკური დაშლა იქნებოდა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში მაინც არ შეექმნებოდა რაიმე საფრთხე იმ ისტორიულ-კულტურულ კავშირებს დანარჩენ მეზობელ თუ მონათესავე ხალხებთან, რაც შოტლანდიას აკავშირებდა საუკუნეების მანძილზე. ეს ბუნებრივი მდგომარეობა იყო, რომელიც, ჩემი აზრით, პოლიტიკური გაერთიანების მიღმა მაინც არსებობს. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება კი მხოლოდ საკუთარი შეზღუდული ძალაუფლების აღდგენას ისახავდა მიზნად.

ერთი შეხედვით თითქოს No კამპანიას ვერ უნდა გაემარჯვებინა იმის ფონზე, რომ Yes კამპანიის მომხრეებს დაუსრულებელი დადებითი მოლოდინები და დაპირებები ჰქონდათ, რასაც მოიტანდა სრული თავისუფლება პოლიტიკის ყველა ასპექტში, ხოლო No-ს მხარდამჭერები საკმაოდ არასასიამოვნო სტატუს–ქვოს შენარჩუნებისკენ

მოუწოდებდნენ ხალხს, ავტონომიის ფარგლებში მაქსიმუმ შესაძლებელი იყო მხოლოდ ძალაუფლების გაზრდა.

კვლევების მიხედვით, რომლების შესახებაც ქვემოთ მოცემულ თავში („მოსახლეობის იდენტობა და განწყობა“) იქნება საუბარი, მოსახლეობის განწყობა სხვა ფაქტორების ზემოქმედებით უკვე იყო ჩამოყალიბებული და გაერთიანებაში დარჩენამ გაიმარჯვა არა No კამპანიის გამო, არამედ მის მიუხედავად (Torrance, 2014).

დებატები შოტლანდიის ეკონომიკური მომავლის შესახებ

დევიდ ტორენსის მიხედვით, შოტლანდიის ეკონომიკური მომავლის შესახებ დამოუკიდებლობის შემთხვევაში, ორი მოსაზრება არსებობს: 1. (ისტორიულად დომინანტური) შოტლანდიის ეკონომიკა იმდენად სუსტი და დამოკიდებულია ინგლისზე, რომ თვითმმართველობამ შესაძლოა სერიოზულ პრობლემებამდე მიიყვანოს ის და 2. (ბოლო დროს უფრო მომძლავრებული) შოტლანდიის ეკონომიკური სირთულეები ვიღაც სხვისი ბრალია, განსაკუთრებით - ინგლისთან პოლიტიკური კავშირის შედეგი (Torrance, 2013).

ერთი მხრივ, გაერთიანებაში დარჩენას ეკონომიკური თვალსაზრისით ის უპირატესობა აქვს, რომ ამ შემთხვევაში რისკები გაზიარებულია. შოტლანდიაში არსებული პრობლემის თუ კრიზისის საფასური მარტო მისი გადასახდელი კი არ არის, არამედ პასუხისმგებლობას მთელი კავშირი იღებს და ინაწილებს. The National Institute of Economic and Social Research (NIESR) - მა დაასკვნა, რომ შოტლანდია პატარა და ძალიან ღია ეკონომიკაა, რომელიც მჭიდროდ ინტეგრირებულია დანარჩენ გაერთიანებულ სამეფოსთან, უფრო მეტად, ვიდრე ევროპასთან და დანარჩენ მსოფლიოსთან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ის გეოგრაფიულად თუ ისტორიულად ყველაზე ახლოს სწორედ მასთან იყო. თუმცა მეორე მხრივ, ბევრი კვლევის თანახმად, შოტლანდიას არათუ შეუძლია დამოუკიდებლობის შემთხვევაში გადარჩენა და ყველაფრისთვის თავის გართმევა, არამედ მას შეუძლია იყოს უფრო წარმატებული და უფრო განვითარებული ქვეყანა. Fiscal Commission Working Group (FCWG) - ის კვლევის

თანახმად, შოტლანდია მდიდარი და პროდუქტიული ქვეყანაა და მას შეუძლია თავისი მაკროეკონომიკის დამოუკიდებლად ორგანიზება და მართვა (Torrance, 2013).

შესაძლოა პოტენციალი აქვს, მაგრამ ბევრი მოსაზრების თანახმად, სანამ მის რეალიზებას მოახდენს, შოტლანდია გამოყოფის შემთხვევაში საგარეო ასპარეზზე თავის დამკვიდრებას ვერც ისე იოლად მოახერხებს; გამოყოფის მოწინააღმდეგეთა ერთერთი ძლიერი არგუმენტი ის არის, რომ ევროკავშირი არ იქნება შოტლანდიის გაერთიანებაში შესვლის მომხრე, რადგან მას არ სურს ურთიერთობის გაფუჭება ესპანეთთან, რომელიც ასევე თავისი შიდა პრობლემის გათვალისწინებით, არ დაუჭერს მხარს შოტლანდიის დამოუკიდებლობას და მის გაერთიანებას ევროკავშირში. ცხადია, რომ შოტლანდია გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაურკვევლობაში აღმოჩნდებოდა და ეს მას დიდ ზიანს მიაყენებდა.

შოტლანდიას ევროკავშირიდან გამოსვლის სურვილი არასდროს ჰქონია, მან ეს მანამდე ჩატარებულ გამოკითხვებშიც და მოგვიანებით 2016 წლის რეფერენდუმზეც აჩვენა, სადაც შოტლანდიამ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენას მისცა ხმა. ევროკავშირში ყოფნა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო, რამაც მოახდინა გავლენა საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის ჩამოყალობებაზე და საბოლოო ჯამში, იმ გადაწყვეტილების მიღებაზე, რაც გამოვლინდა 2014 წლის რეფერენდუმის შედეგად. ევროკავშირში შოტლანდიის ყოფნის მნიშვნელობაზე საუბარი იქნება ცალკე თავში - „ევროკავშირის წევრობა და მისი მნიშვნელობა დამოუკიდებელი შოტლანდიისთვის.“

დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფის მომხრეებს არაერთი არგუმენტი მოჰქონდათ იმის დამადასტურებლად, რომ შოტლანდიას საკმაოდ ძლიერი ეკონომიკა აქვს და ეს სიმართლეს არც იყო მოკლებული. SNP-ს აზრით, შოტლანდიას შეეძლო გაერთიანებულიყო ჩრდილო-დასავლეთის პატარა განვითარებული ქვეყნების კავშირში (“Arc of prosperity”).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ნავთობის და გაზის საბადოები, რომლებიც ჩრდილოეთის ზღვაში მოიპოვება და რომლის უდიდესი ნაწილი სწორედ შოტლანდიის ტერიტორიაზეა. ჩრდილოეთის ზღვის ნავთობისა და გაზის რეზერვების 96%, შოტლანდიის ტერიტორიულ წყლებშია თავმოყრილი. ეს კი, ევროკავშირში წარმოებული ნავთობის 60%-ია(www.agora.ge, 2014). ბოლო დროს ნავთობზე

მოთხოვნილების გაზრდამ და მისი მარაგის შემცირებამ გამოიწვია მისი ფასების ზრდა. ამასთან ვარაუდობდნენ, რომ შოტლანდიის აღნიშნული საბადოები ათწლეულების მანძილზე არ დაიცლებოდა, ხოლო თუ მოხდებოდა ამ სფეროს ინვესტირება და ნავთობის საინვესიტიციო ფონდის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ნავთობისა და გაზის ინვესტირებას გრძელვადიან პროექტებში, იგი 100 წელიც შესაძლოა გამოყენებადი ყოფილიყო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დამოუკიდებლობის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ შოტლანდია საკმაოდ კარგ მოგებას მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა და ამ ყველაფრის ერთადერთი განმკარგავი გახდებოდა. გარდა ამისა, ისინი ამბობდნენ, რომ ჩრდილოეთის ზღვის საბადოები არ არის ერთადერთი რასაც შოტლანდიის ეკონომიკა ეყრდნობა. ეს უბრალოდ დამატებითი სიმდიდრეა, რომლის გარეშეც შოტლანდია ისედაც წარმოადგენს სრულფასოვან და ძლიერ ეკონომიკას როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოში. მარტო ენერგეტიკის სფეროში იგი გაზისა და ნავთობის გარდა იყენებს ზღვის და ქარის ენერგიას, ასევე აქვს განვითარებული ისეთი ასპექტები, როგორებიცაა ტურიზმი, წარმოება, ელექტრონიკა, ტექსტილი, საბანკო სფერო, უმაღლესი განათლება, კრეატიული სექტორი, მეთევზეობა, ვისკი და ა.შ. (Gray, 2013). შოტლანდიის ხელისუფლების შეფასებებით, ისინი მე-14-ე ადგილს იკავებენ OECD-ის ქვეყნებს შორის სიმდიდრის მიხედვით: 1 სულ მოსახლეზე აქ 25 ათასი ევრო მოდის, ხოლო ინგლისში - 27 ათასი ევრო. ნომინალურ გამოსახულებაში ეს 186 მლრდ ევროა - დიდი ბრიტანეთის მშპ-ს 9.2%.

„ჩვენ ვიღებთ უფრო მეტ მთლიან შიდა პროდუქტს 1 სულ მოსახლეზე, ვიდრე დანარჩენი დიდი ბრიტანეთი, - დარწმუნებულია სუვერენიტეტის მომხრე ბიზნესმენი იენ მაკი, - შოტლანდია მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სიმდიდრე აქ არ რჩება და არ ხმარდება ჩვენს ეკონომიკას, ბიზნესს, ჩვეულებრივ შოტლანდიელებს. დამოუკიდებლობა ჩვენ კონტროლის ხელში აღების საშუალებას მოგვცემს.“

ლონდონმა გააფრთხილა ედინბურგი, რომ სუვერენიტეტის შემთხვევაში ნავთობის გარდა, მათ ვალის გაყოფაც მოუწევთ, რაც იმას ნიშნავს, რომ შოტლანდიის ბიუჯეტის ხარჯები გაიზრდება. ვალის გაყოფის პროპორცია უცნობი იყო, მაგრამ იმ

დროისთვის შოტლანდიაზე მოდიოდა გაერთიანებული სამეფოს საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 10% (www.agora.ge, 2014).

ჩრდილოეთის ზღვის საბადოებზე გრძელვადიანი იმედის დამყარება და ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეის დაფუძნება ამგვარ ილუზიაზე, რა თქმა უნდა, მაინც არ არის მთლად მიზანშეწონილი, რადგან ასეთი რესურსები ამოწურვადია. ადრე თუ გვიან ამ ფაქტის წინაშე დადგება ქვეყანა და მხოლოდ ეს არ უნდა იყოს მამოძრავებელი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას, როგორიცაა უდიდესი გაერთიანებებიდან გამოსვლა.

ბრიტანეთში დარჩენის მომხრეები დიდ აქცენტს აკეთებდნენ დამოუკიდებლობის უარყოფით მხარეებსა და რისკებზე. ისინი ამბობდნენ, რომ შოტლანდია ვერ შეძლებდა ბანკების გათავისუფლებას დამოკიდებულებისგან, Royal Bank of Scotand და Lloyds Bank ორივე ოფიციალურად შოტლანდიური ბანკებია, თუმცა მათი ოპერაციების უმეტესობა ინგლისში ხორციელდება და კრიზისის შემდეგ ისინი ფაქტობრივად გაერთიანებული სამეფოს მმართველობის ქვეშაა. რისკების შესახებ არგუმენტებმა პიკს მიაღწია კამპანიის ბოლო კვირაში. დარჩენის მომხრეები ადგილობრივ ბანკებს აფრთხილებდნენ ინვესტიციების შემცირების შესახებ. ბანკებიც, იმ შემთხვევაში თუ შოტლანდია დამოუკიდებელი გახდებოდა, აცხადებდნენ, რომ მათი ინსტიტუტები ლონდონში გადაინაცვლებდა. ზოგიერთი სუპერმარკეტების ქსელი კი ფასების მომატებით იმუქრებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხალხი ხმას მისცემდა გამოყოფას (Keating, 2015).

მიუხედავად ალექს სალმონდის უამრავი დაპირებისა, რომ შექმნიდნენ უამრავ სამუშაო ადგილს, დაიცავდნენ ეროვნულ ჯანდაცვის სისტემას, დაამარცხებდნენ სიღარიბეს და გაუმჯობესებდნენ საჯარო მომსახურების სფეროს, მაინც ბევრი გრძნობდა, რომ კრიზისისა და ფინანსური არასტაბილურობის დროს სტატუს-ქვოს შენარჩუნება და გაერთიანებაში დარჩენა ყველაზე უსაფრთხო გზა იყო. ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო დამოუკიდებელი შოტლანდიის ფულის ერთეული. SNP-ს ლიდერი ბრიტანეთს სთავაზობდა ფუნტის გამოყენების გაგრძელებას და მონეტარული კავშირის შექმნას, რომელიც ევროზონის საპიწონე იქნებოდა, რაც ვესტმინსტერის მხარემ უარყო. შოტლანდიას რჩებოდა არჩევანი - ან ახალი ვალუტა უნდა შემოეღო, რაც აუცილებლად გამოიწვევდა ქაოსს, ან მორგებოდა ევროს, რასაც უარყოფდა

დამოუკიდებლობის კამპანიის ლიდერი. რა უნდა ყოფილიყო შოტლანდიის დამოუკიდებლობის შემთხვევაში მისი ვალუტა, ფუნტი, ევრო, თუ 400 წლის წინანდელი ეროვნული ვალუტა? სამწუხაროდ, შოტლანდიელი ხალხისთვის ეს შეკითხვა პასუხგაუცემელი რჩებოდა და კიდევ უფრო ამძაფრებდა დაურწმუნებლობას. გარდა ამისა, მათ, ისე როგორც არასდროს, აღელვებდათ თავიანთი პენსიისა და სოციალური უსაფრთხოების საკითხი (Chikhoun, 2015).

თავდაცვა და უსაფრთხოება

დამოუკიდებელი შოტლანდიის მომავალთან დაკავშირებული ერთერთი საკითხია თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხი, რომელიც ასევე გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებდა, თუმცა ამ საკითხებთან დაკავშირებული დაბრკოლება არ იყო იმდენად ყურადღების ცენტრში, რამდენადაც ევროკავშირის წევრობა; უპირველესი მიზანი მაინც იყო ევროკავშირში ადგილის შენარჩუნება.

დამოუკიდებლობის შემთხვევაში შოტლანდიას უნდა შეემუშავებინა საკუთარი თავდაცვის სისტემა და საერთაშორისო სისტემაში ამ მხრივ საკუთარი ადგილი დაეკავებინა, რაც არ იქნებოდა ადვილი. თუ ადრე შოტლანდიის ნაციონალური პარტია NATO-ს მიმართ ოპოზიციურად იყო განწყობილი, ახლა უკვე მისი დამოკიდებულება შეიცვალა და საპირისპირო პოლიტიკის გატარება დაიწყო. დამოუკიდებლობის შემთხვევაში უკვე შოტლანდია ცალკე უნდა შესულიყო NATO-ში. ასევე შოტლანდია არაბირთვული ქვეყანა უნდა ყოფილიყო. დიდი ბრიტანეთის ბირთვული წყალქვეშა ნავების ბაზა (Trident) სწორედ შოტლანდიის ტერიტორიაზე იყო და ის უნდა გადატანილიყო სხვაგან. იყო შეთავაზება, რომ Trident გაიყიდებოდა იმის სანაცვლოდ, რომ ფუნტი დარჩებოდა შოტლანდიის ვალუტად, მაგრამ ვერ მიიღწა შეთანხმება ამასთან დაკავშირებით.

შოტლანდიის მთავრობამ თეთრ წიგნში გამოაქვეყნა შემდეგი ვერსია: შოტლანდიის სამხედრო ძალები დაფუძნებული იქნებოდა დიდი ბრიტანეთის არსებულ სამხედრო ბაზებსა და საშუალებებზე. დასავლეთ სანაპიროზე იქნებოდა სამხედრო საზღვაო ბაზა არსებული Trident მოწყობილობების გამოყენებით. შოტლანდია NATO-ს ვალდებულებებს შეასრულებდა და ასევე დაიცავდა საკუთარ

უსაფრთხოებას. სხვა ანალიტიკოსები თავდაცვის პოლიტიკის უფრო რადიკალურ ფორმულირებას სთავაზობდნენ, რომელიც დაეფუძნებოდა შეზღუდულ, სტრატეგიული მიზნებს რაც გულისხმობდა ნავთობის საბადოების დაცვას, საზღვაო ფლოტის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადატანას; ასევე მას უნდა შეევსო ნატოს საჰაერო დაზვერვაში შექმნილი სიცარიელე, რომელიც გამოწვეული იყო დიდი ბრიტანეთის მიერ საკუთარი დანახარჯების შემცირებით. თუმცა ეს საკითხები არ იყო გაჟღერებული კამპანიაში (Keating, 2015).

ევროკავშირის წევრობის საკითხი და მისი მნიშვნელობა დამოუკიდებელი შოტლანდიისთვის

ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, ჩემი აზრით, გადამწყვეტი საკითხი ევროკავშირში შოტლანდიის ყოფნა/არყოფნა იყო.

ერთიანი ევროპული ეკონომიკა ერთიანი ბაზრით და საერთო ვალუტით, რაც უზრუნველყოფს პროდუქტის, კაპიტალის, სერვისისა და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ევროპულ ზონაში, ამცირებს ბევრ უარყოფით ეკონომიკურ გარე ფაქტორს, რაც შეიძლება პატარა ქვეყანას ჰქონდეს. ამიტომ შოტლანდიისთვისაც ეს იდეა მიმზიდველი იყო, დამოუკიდებლობა ევროკავშირის შიგნით. პატარა წარმატებულ ერებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში არიან, უყალიბდებათ აღქმა, რომ ისინი უსამართლობის მსხვერპლნი არიან, რადგან მეტი წვლილი შეაქვთ ამ სახელმწიფოს განვითარებაში და შედარებით ნაკლებ მოგებას იღებენ. მათ უჩნდებათ განცდა, რომ შეუძლიათ ბევრად უკეთ იყვნენ დამოუკიდებლობის შემთხვევაში და მეტ წარმატებას მიაღწიონ. ისტორიულად, მდიდარი რეგიონები ხშირად არიან კომპენსირებულნი უარყოფითი ბალანსით, ანუ ნაკლებ სარგებელს ნახულობენ ადგილსამოფელი სახელმწიფოს ბაზრიდან თუ უსაფრთხოების სისტემიდან. ეს არ ეხება ევროკავშირს, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი ამგვარი დისბალანსი, ბუნებრივია ასეთი ერებისთვის მიმზიდველია მემკვიდრე ქვეყანას გამოეყონ და შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეკონომიკური მოლოდინები გავლენას ახდენს სეცესიის პროცესებზე. მეტი სოციალური სამართლიანობა და თანაბარი პირობები სიმდიდრის გადანაწილებისა ბიძგს აძლევს

ამგვარ ერებს, გამოეყონ მემკვიდრე ქვეყანას. შესაბამისად, შოტლანდიაშიც პრო-ევროპულობა გადაიქცა ავტონომიისკენ მისწრაფების პოლიტიკური განხორციელების ყველაზე დიდ შესაძლებლობად (Muro & Vlaskamp, 2016).

ამის დამადასტურებელია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოკითხვის შედეგები:

სურათი №1



წყარო: Whatscotlandthinks.org

მოსახლეობის აზრის გამოკითხვის შედეგები იმის შესახებ, თუ რომელ კომბინაციას უჭერდა მხარს, როგორც ზემოთ მოცემულ სურათზე ჩანს, ასეთია: უმეტესობა მხარს უჭერს შოტლანდიის დამოუკიდებლობას ევროკავშირის შემადგენლობაში. ცალსახაა მოსახლეობის დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ და ამ გაერთიანების წევრობის მნიშვნელობა მისთვის.

მართალია ევროკავშირის წევრობა ზემოთგანხილული ეკონომიკური თვალსაზრისით ხელს უწყობს სეცესიას, მაგრამ მეორე მხრივ, ევროკავშირში გაწევრიანება დადგენილი წესების მიხედვით საკმაოდ რთული და ხანგრძლივი გზის გავლას გულისხმობს, რაც აფერხებს და ბლოკავს გამოყოფისკენ მისწრაფებებს.

ახლადშექმნილი სახელმწიფო ახლიდან ხდება კავშირში შესვლის აპლიკანტი, რაც საჭიროებს ყველა არსებული წევრი ქვეყნის თანხმობას, მათ შორის მემკვიდრე ქვეყნის. აქედან გამომდინარე, იმ გარდამავალი წლების პერიოდში, სანამ ის მიაღწევს სრულუფლებიან წევრობას, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

თუ თავიდან ადრეულ 1970-იან წლებში შოტლანდიის ნაციონალური პარტია ვეროკავშირის წინააღმდეგი იყო, შემდეგ მან შეიცვალა პოზიცია და 1980-იანი წლებიდან მოყოლებული ის ევროკავშირს ერთერთ მთავარ გარე დამხმარე ძალად თვლიდა დამოუკიდებელი შოტანდიისთვის. მაგრამ გაერთიანებაში დარჩენა ვერ მოხდებოდა ავტომატურად. ორი გზა იყო: ან შოტლანდია ახლიდან უნდა გაწევრიანებულიყო, როგორც ახალი სახელმწიფო ევროკავშირის ხეშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, ან 48-ე მუხლის თანახმად, რადგან შოტლანდიის ტერიტორია და მოსახლეობა უკვე კავშირის ნაწილი იყო, გადაიხედებოდა არსებული ხელშეკრულება და მას აღიარებდნენ 29-ე წევრად. თუმცა 48-ე მუხლს არ ჰქონდა მხარდაჭერა და გადაწყდა, რომ 49-ე მუხლის მიხედვით უნდა გაწევრიანებულიყო. გამოდის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში შოტლანდია ავტომატურად კავშირის გარეთ რჩებოდა და, რა თქმა უნდა, არც ისე მარტივ სიტუაციაში. მას მოუწევდა სწორედ იმ გზის გავლა, რაც სხვა დანარჩენ „რიგში მყოფ“ აპლიკანტ სახელმწიფოებს. ეს საკმაოდ დიდი სირთულე იქნებოდა და დიდ დაფიქრებას მოითხოვდა ამგვარი ნაბიჯის გადადგმა, ვინაიდან შოტლანდიისთვის არც ისე ხელწამოსაკრავი იყო ევროკავშირის მიღმა დარჩენა, თანაც ხანგრძლივი და გაურკვეველი ვადით.

ევროკავშირიდან მიღებული სარგებელი:

რაც შეეხება შოტლანდიისთვის ევროკავშირის წევრობის მნიშვნელობას, ის ცალსახად გადამწყვეტია როგორც მისი ეკონომიკისთვის, ასევე სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისთვის. თუ გადავხედავთ მონაცემებს, რომლებიც ადასტურებს, რომ ევროკავშირი როგორც მთლიანად დიდი ბრიტანეთის, ისე შოტლანდიისთვის ყველაზე დიდი ბაზარია, კავშირის გარეთ დარჩენა არარაციონალური გადაწყვეტილება იქნებოდა მითუმეტეს დამოუკიდებლობის

მიღების შემთხვევაში, როცა ის ბრიტანეთსაც ტოვებდა. ეს ფაქტობრივად სრულ იზოლაციაში ყველაფრის ნულიდან დაწყების ტოლფასი იქნებოდა.

2013 წლისთვის შოტლანდიის ექპორტის 46,3% ევროპულ ბაზარზე მოდიოდა. ასევე შოტლანდია არის მხარე ყველა იმ ბილატერალური თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებისა, რომელსაც ევროკავშირი აფორმებს სხვა ქვეყნებთან, მაგალითად აქ მოიაზრება ჩილე, სამხრეთ კორეა, მექსიკა, სამხრეთ აფრიკა, ცენტრალური ამერიკის ქვეყნები, ასევე აშშ, იაპონია, ინდოეთი და ჩინეთი. გარდა ამისა, ევროკავშირის ინვესტიციები საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა როგორც ნებისმიერი სხვა წევრი ქვეყნის, ისე შოტლანდიის ეკონომიკაში, საიდანაც შოტლანდია საკმაო მოგებას იღებდა. ასევე მნიშვნელოვან შედეგებთან იყო დაკავშირებული კავშირის წევრი ქვეყნებისგან ჩადებული ინვესტიციები, მაგალითად საფრანგეთისგან მიღებული ინვესტიციები ბევრად მეტი იყო შოტლანდიაში, ვიდრე დანარჩენ ბრიტანეთში. ამ ინვესტიციების უმეტესობა გაზისა და ნავთობის სფეროსთან ერთად საკვები და სასმელი პროდუქტების სფეროში იყო. ინვესტიციებთან დაკავშირებულია სამუშაო ადგილების შექმნაც. ასევე შოტლანდიას აქვს დაფინანსება ევროკავშირის ფონდებიდან. 2007-2013 წლებში მან ამ ფონდებიდან მიიღო 800 მილიონი ევრო. მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები და ყურადსაღებია ის, რომ უმეტესობა სწორედ ევროპიდან ჩამოსული ტურისტია შოტლანდიაში. ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლის 42% ევროპულ ქვეყნებზე მოდის. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრობა უფლებას აძლევს შოტლანდიის მოქალაქეს, იცხოვროს, იმუშაოს და ისწავლოს ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში. ევროკავშირიდან გასვლის შემთხვევაში, შოტლანდია, რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის მიღმა რჩებოდა, რაც ძალიან დიდი დანაკლისი და უკან დახევა იქნებოდა შოტლანდიის ეკონომიკისთვის (Aiton & others, 2015).

ახლაც, 2014-დან 2020 წლამდე ევროკავშირი თითქმის 1 მილიარდ ევროს დებს შოტლანდიის სტრუქტურულ ფონდებში. დაფინანსების უდიდესი ნაწილი განკუთვნილია სანაპირო ქარის რესურსის გამოყენების, ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ინვესტირების, ტალღების და ზღვის მოქცევის ენერგიის

წარმოების, სოფლის მეურნეობისა და საზღვაო ბიო-მეცნიერების ხელშეწყობისთვის (www.scotlandineurope.eu.).

გარდა ამისა, ევროკავშირი აფინანსებს შოტლანდიის უნივერსიტეტებს და მათ მეცნიერულ კვლევებს. ამის ერთერთი მაგალითი ის არის, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გენეტიკის ინსტიტუტმა და მოლეკულურმა მედიცინამ (IGMM) ედინბურგის უნივერსიტეტში მიიღო 15,9 მილიონი ევრო, რაც გამოყენებულ იქნა მელანომის გამოსაკვლევად, გენის რეგულაციისა და ახალი წამლის განვითარებისთვის. Horizon 2020 არის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ყველაზე დიდი პროგრამა, რომელიც მოიცავს დაახლოებით 80 მილიარდ ევროს 2014-2020 წლების პერიოდისთვის. 2007-2013 წლებში კი შოტლანდიამ მიიღო 636 მილიონი ევრო Horizon 2020-ის წინამორბედი პროგრამის ფარგლებში (Lane, უთარიღო).

ევროკავშირის დაფინანსება ეხმარება შოტლანდიას თავისი ტრადიციის გაგრძელებაში, რაც გულისხმობს მსოფლიოში წამყვანი ადგილის ქონას საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევებში. ასეთი ფონდების ხელმისაწვდომობა ძალიან დიდი სარგებლის მომტანია შოტლანდიისთვის და ის ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, რომელიც არ იქნებოდა ასეთი ეფექტური, იმ შემთხვევაში, თუ შოტლანდია კავშირს დატოვებდა (www.scotlandineurope.eu.). ფაქტები გვიჩვენებს, რომ ერთობლივი კვლევა საერთაშორისო დონეზე 1,4-ჯერ უფრო ეფეტურია, ვიდრე ეროვნულ საზღვრებში ჩატარებული კვლევა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შოტლანდიის სამეცნიერო სფერომ და უნივერსიტეტებმა გააგრძელონ ევროკავშირის მასშტაბით კოლეგებთან ურთიერთობა, რათა შოტლანდიამ შეინარჩუნოს თავისი კვლევის სრულყოფილება (Lane, უთარიღო).

ევროკავშირის მხარდაჭერას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მწვანეთა მოძრაობის წევრები. ისინი ამბობენ, რომ დაბინძურებას და გარემოს დაზიანებას არ აქვს ეროვნული საზღვრები, აქედან გამომდინარე, აუცილებელია საზღვართამკვეთი თანამშრომლობა და ერთობლივი გადაწყვეტილებები იმ გამოწვევების საპასუხოდ, რომელთა წინაშეც ვდგავართ. მათი აზრით, შოტლანდიის სანაპიროები უფრო სუფთაა, ჰაერი ნაკლებად დაბინძურებულია და ველური ბუნებაც უფრო უსაფრთხოა ევროკავშირის წესების დამსახურებით. ყველაზე დიდი ზიანის მომტანი ენერგო სადგურები დაიხურა

ევროკავშირის წესების თანახმად. ევროკავშირის სტანდარტები უზრუნველყოფენ უსაფრთხო წყლის, საკვების და სასარგებლო ნედლეულის მიღებას, ასევე CO2-ის შემცირებას. გარემოსდამცველები საფრთხეს ხედავენ ევროკავშირის გარეთ დარჩენის შემთხვევაში, რადგან ბრიტანეთის მთავრობა თვლიდა, რომ ევროკავშირი უაზრო ხარჯებს მოითხოვდა ბრიტანული ფირმებისგან გარემოს დაცვასთან დაკავშირებით და მან სცადა თავი აერიდებინა სუფთა ენერგიისა და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიის მხარდაჭერისთვის.

კლიმატის ცვლილება, სფერო, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს კონტინენტთაშორის და გლობალურ თანამშრომლობას. არცერთ ცალკე აღებულ ქვეყანას არ შეუძლია მარტო გაუმკლავდეს ამ პრობლემას. შოტლანდიის მწვანეთა პარტია ათეულობით წლების მანძილზე ცდილობდა მიეღწია იმისთვის, რომ აეშენებინათ ნაკლები ნახშირორჟანგის გამომყოფი და განახლებადი ენერგიით მომარაგებული ეკონომიკა. თუ ევროპის ქვეყნები გააერთიანებენ ძალებს რათა გააძლიერონ ევროკავშირის წესები ნახშირორჟანგის შემცირებასთან დაკავშირებით, მაშინ არსებობს შესაძლებლობა, რომ მომავალი თაობებისთვის უსაფრთხო გარემო შექმნან.

ევროკავშირმა ითამაშა გადამწყვეტი როლი შოტლანდიის სამუშაო გარემოს უფრო სამართლიან და თანასწორუფლებიან ადგილად ჩამოყალიბებაში, რაც გულისხმობდა ნახევარ განაკვეთზე და დროებით დასაქმებულთა უფლებების დაცვას, დისკრიმინაციასთან ბრძოლას, მშობელ მუშათა უფლებების დაცვას, ანაზღაურებადი შვებულების და რეგულარული შესვენების უფლების დაცვას, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ა.შ უფლებების დაცვას. ევროკავშირში არსებული წესების მიხედვით, ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულები იღებენ იმავე ანაზღაურებას საათში, რამდენსაც - სრულ განაკვეთზე დასაქმებულები.

თავისუფალი გადაადგილება - ეს არის ერთერთი ყველაზე დიდი სიმდიდრე, რასაც სარგებელი მოაქვს როგორც შოტლანდიის, ისე სხვა ქვეყნებისა და მთლიანად ევროკავშირისთვის. ცხოვრება, სწავლა, მუშაობა და პენსიაზე გასვლა ნებისმიერ ადგილას, ეს არის ის, რაც აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს შოტლანდიამ. შოტლანდიის ეკონომიკა უფრო ძლიერია სწორედ იმიტომ, რომ ხალხი ჩადის

შოტლანდიაში, მუშაობს და წვლილი შეაქვს მის განვითარებაში. NHS (National Health Service) კადრების 11% და ექიმების 26% ბრიტანეთის საზღვრებს გარეთაა დაბადებული. შოტლანდიის საზოგადოებრივი სერვისი ეყრდნობა იმ ადამიანებს, რომლებიც ჩადიან და იქ იშენებენ ცხოვრებას. ევროკავშირის დატოვება საფრთხეს უქმნიდა არამარტო ამ ორმხრივ სარგებელზე დამყარებულ მულტიკულტურულ საზოგადოებას, არამედ საზღვარგარეთ წასვლის და მოღვაწეობის შესაძლებლობას შოტლანდიელთათვის.

ევროკავშირის წევრობა შოტლანდიის ბიზნესს აძლევს წვდომას ბაზართან, რომელსაც 500 მილიონი მომხმარებელი ჰყავს. მთელი ვაჭრობა, ინვესტიციები, სამუშაო ადგილები და დაბალი ფასები, რასაც შოტლანდია იღებს ევროპასთან პარტნიორობით, შეადგენს 3000 ევროს ღირებულების სარგებელს ოჯახზე. დამოუკიდებელი მკვლევარების და ასევე მთავრობის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, დაახლოებით 3-4 მილიონი სამუშაო ადგილი უკავშირდება პირდაპირ, ან ირიბად შოტლანდიის სავაჭრო ურთიერთობებს ევროკავშირთან. ევროკავშირის ფარგლებს გარეთ დარჩენის შემთხვევაში ვაჭორბა ევროპასთან უფრო გართულდება და შესაბამისად აღნიშნული სამუშაო ადგილებიც მოწყვლადი გახდება.

ევროკავშირის წევრობა ასევე აძლიერებს გენდერის საფუძველზე არსებული პრობლემების - ძალადობის, ექსპლუატაციისა და შევიწროების დაძლევის შესაძლებლობებს.

ევროკავშირი დიდ დახმარებას უწევს შოტლანდიელ სტუდენტებს, რომლებსაც სურვილი აქვთ საზღვარგარეთ ისწავლონ. იგი მილიარდებს დებს ასევე ბრიტანეთის უნივერსიტეტების დაფინანსებაში, რათა მათ განახორციელონ საჭირო კვლევები და ასევე ხელს უწყობს ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან ტალანტების მოზიდვას, რომლებიც წვლილს შეიტანენ იქ ჩატარებულ კვლევებსა და ინოვაციებში. შოტლანდიის წევრობა ევროკავშირში ამ უნივერსიტეტების წარმატების ძალიან დიდი განმაპირობებელი ფაქტორია, ამიტომ კავშირის დატოვება ძალიან დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა შოტლანდელი სტუდენტების შესაძლებლობებისთვის.

გლობალურად ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში, სადაც არსებობენ კორპორაციები, რომლებსაც უფრო მეტი ფული აქვთ, ვიდრე ზოგიერთ სახელმწიფოს,

შოტლანდიას სჭირდება ითანამშრომლოს ევროპის სხვა ქვეყნებთან, რათა დაარეგულიროს დიდი ბიზნესი. როცა ფული არ სცნობს საზღვრებს, კანონების გამოყენებით გადასახადებისა და ფულის მოძრაობის გაკონტროლება აუცილებელია ევროკავშირის დონეზე. 2008 წლის კრიზისის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო საერთაშორისო წესები და კანონები, რათა შეეკავებინათ მოზღვავებული ფინანსური კომპანიები ლონდონსა და ედინბურგში. თუ შოტლანდია ევროკავშირის მიღმა აღმოჩნდებოდა, ლოიალისტები დაიწყებდნენ დერეგულაციას ფინანსურ სექტორზე, რაც იქნებოდა კიდევ ერთი ფინანსური კატასტროფის რისკი.

ევროკავშირი ასევე ერთგვარი ხელშემწყობია მშვიდობის დამყარებისთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც სისხლიანი კონფლიქტების შემდეგ დანაწევრებული და ერთმანეთისგან დაშორებული ხალხისთვის კომუნიკაციის საფუძვლად იქცა. იგი ხელს უწყობს კონფლიქტების გადაწყვეტას მოლაპარაკებების მაგიდასთან, ან სასამართლო განხილვის გზით და არა ბრძოლის ველზე. არამარტო ევროპის ხალხებს შორის, არამედ სხვა ხალხებს შორის მშვიდობის დამყარებაშიც მონაწილეობს ევროკავშირი და მან 2012 წელს ნობელის პრემია მიიღო მშვიდობის დარგში, კონფლიქტების დარეგულირების, დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის.

ასევე ფერმერების დახმარება და საერთო წყლებში მეთევზეობის წესების დარეგულირება ორი ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია შოტლანდიისთვის ევროკავშირის წევრობის საკითხში. ევროკავშირის ბიუჯეტის 40% იხარჯება საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკის წარმართვაში. აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს ფერმერების დახმარებას და წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაწილს. ფერმერები იღებენ სხვადასხვა სახის სუბსიდიებს და გრანტებს რათა შეესაბამებოდნენ გარემოსა და საკვების უსაფრთხოების მოთხოვნებს და გაუმჯობესონ თავიანთი მეურნეობა ახალი დანადგარებით, შენობებით თუ საქონლით. ასევე სუბსიდიების სისტემა ითვალისწინებს ახალგაზრდების წახალისებას და დახმარებას სოფლის მეურნეობაში დასაქმებისთვის, რადგან შოტლანდიაში ფერმერთა საშუალო ასაკი 58 წელია. ევროკავშირის სოფლის მეურნეობის წესები ასევე მოიცავს საკვების მარკირების მართვას, რაც გულისხმობს

იმას, რომ რეგიონული საკვები დაცულია სხვა მწარმოებლის მიერ მისი სახელის გამოყენებისგან. ეს წესები აადვილებს იმის დანახვას, თუ საიდან არის პროდუქტი და ეს ნიშნავს იმას, რომ მწარმოებლებიც დაცულები არიან. საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა აძლიერებს შოტლანდიის სოფლის მეურნეობით დაკავებულ საზოგადოებას სასოფლო სამეურნეო ეკონომიკის დაფინანსებით და მისი განვითარებით. საერთო მეთევზეობის პოლიტიკა კი არის იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებს ევროპული სათევზაო ფლოტების საქმიანობასა და უზრუნველყოფს თევზის მარაგის დაცვას. მისი მიზანია, აღადგინოს ზოგიერთი ამოწურული თევზის მარაგი 2020 წლამდე და უზრუნველყოს ინდუსტრიისა და გაზიარებული წყლების მდგრადობა.

ევროკავშირმა გააუმჯობესა ცხოველთა მდგომარეობა და პირობები, სადაც ეროვნული მთავრობები უძლურნი აღმოჩნდნენ და ამან გავლენა მოახდინა არამარტო ევროკავშირის ქვეყნებზე, არამედ მის საზღვრებს გასცდა. ევროკავშირმა შემოიღო სრული აკრძალვა კოსმეტიკის წარმოების სფეროსთვის ცხოველებზე ექსპერიმენტების ჩატარება, მან აკრძალა ისეთი პესტიციდების გამოყენება, რომლებიც ანადგურებს ფუტკარს. ევროკავშირმა ასევე აკრძალა ცხოველთა სასტიკად მოპყობა ფერმებსა და ქარხნებში, რაც გამოიხატებოდა მათი მცირე ზომის გალიებში გამომწყვდევასა და გაუსაძლის პირობებში გაზრდაში, რაც აზიანებს ცხოველის ჯანმრთელობას და შესაბამისად უხარისხო პროდუქტს იძლევა.

ევროკავშირის ფარგლებში დაცულია მომხმარებლის უფლებები. მომხმარებელს გარანტირებულად მიეწოდება ხარისხიანი პროდუქტი და მომსახურება. ეს წესები მსოფლიოში უძლიერესია. როდესაც მომხმარებელი ყიდულობს ფრანგულ ყველს, ან გერმანულ ლუდს, მან ზუსტად იცის რა სტანდარტებით არის დამზადებული ის და რა არის შიგნით. შოტლანდიელ მომხმარებელს ან სხვა ევროპული ქვეყნის მოსახლეობას ორწლიანი გარანტია აქვს რაიმე ნივთის შეძენისას და ასევე 14 დღის განმავლობაში აქვს უფლება შეწყვიტოს კონტრაქტი. ონლაინ გაყიდვების შემთხვევაში, გამორიცხულია ყველანაირი დამატებითი ხარჯი. ასევე, როდესაც შოტლანდიელი სხვა ქვეყანაშია ჩასული, იგი სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რაც აქვს თავის ქვეყანაში, მაგალითად ავად გახდომის შემთხვევაში, ის სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევის იმავე პირობებით, როგორითაც შოტლანდიაში და ა.შ. (www.greens.scot).

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შოტლანდიას არანაირ ფასად არ უღირდა ევროკავშირის წევრობის ეჭვქვეშ დაყენება.

შოტლანდია - ევროკავშირის განუყოფელი ნაწილი:

გარდა ზემოთ ხსენებული, ასე ვთქვათ, მატერიალური ფაქტორებისა, არსებობს სხვა ფაქტორები - პოლიტიკური, იდეოლოგიური, ღირებულებითი - რომლებიც აკავშირებს შოტლანდიას ევროკავშირთან და რომლებიც ადასტურებს იმას, რომ შოტლანდია ევროპის განუყოფელი ნაწილია. შოტლანდია წარმოდგენილია ევროკავშირის აქტივობების ყველა ეტაპზე. 1999 წლის პარლამენტის აღდგენამ და მთავრობის შექმნამ გააძლიერა მისი ხმა ევროპაში, შოტლანდიელ მოსახლეობას საშუალება მისცა შოტლანდიის პრობლემების შოტლანდიური გადაწყვეტის გზები ეპოვა და ჩამოყალიბებულიყო საზოგადოება, რომელიც შოტლანდიის საჭიროებებს უპასუხებდა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე შოტლანდიამ აჩვენა, თუ რამდენად ევროპულია ის. ის დგას დანარჩენი ჩრდილოეთ ევროპის გვერდით არაპრივატიზებული ჯანდაცვის სისტემით, განახლებადი ენერგიის განვითარების მხარდაჭერით და უფასო უმაღლესი განათლებით. (www.scotlandineurope.eu.)

შოტლანდიელები ევროკავშირის პარლამენტში წარმოდგენილნი არიან 6 პირდაპირ არჩეული წევრით, რომლებიც წარმოადგენენ შოტლანდიის ინტერესებს და ადასტურებენ, რომ კანონები მუშაობს შოტლანდიისთვის. ევროპულ პარლამენტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა და ძალაუფლება აქვს, იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი კანონპროექტი საჭიროებს პარლამენტის (751 წევრის) უმრავლესობის თანხმობას.

შოტლანდიას აქვს აღებული პასუხისმგებლობა იმ საკითხებზე, რომლებიც იკვეთება ევროკავშირთან. შოტლანდიის 1998 წლის აქტით დადგენილია, რომ შოტლანდიის პარლამენტს და მთავრობას აქვთ ვალდებულება, მოახდინონ ევროკავშირის რეგულაციების იმპლემენტაცია, რომლებიც ეხება საერთო სფეროებს და საკითხებს. ეს საკითხები მოიცავს ეკონომიკურ განვითარებას, კანონებს და ბრძანებებს, ადგილობრივ მმართველობას, მეთევზეობას და სოფლის მეურნეობას, გარემოსდაცვას, ტრანსპორტს და კლიმატის ცვლილებას. ევროკვშირის პოლიტიკის მიზნები მჭიდროდ იყო დაკავშირებული შოტლანდიის მთავრობის 2020 წლის ზრდის სტრატეგიასთან და ბევრი საერთო ამოცანებია შოტლანდიასა და ევროკავშირს შორის. როგორც უკვე ითქვა,

შოტლანდიის მთავრობა პასუხისმგებელია, მოახდინოს ევროკავშირის კანონების იმპლემენტაცია, ოღონდ რამდენადაც ისინი შეესაბამება და ეთანხმება გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუციას. მისი მთავრობა საბჭოში წარმოდგენილია გაერთიანებული სამეფოს მინისტრით. შოტლანდიელ მინისტრებს შეუძლიათ დაესწრონ, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ დიდი ბრიტანეთის თანხმობით. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, SNP-ს სურვილი იყო შოტლანდიის სხვა როლში ყოფნა; მიუხედავად იმ ავტონომიისა, რასაც შოტლანდიამ თანდათან მიაღწია, როცა საქმე ევროკავშირს ეხება, ის ყოველთვის წარმოდგენილია გაერთიანებული სამეფოს მიერ. შოტლანდიის დამოუკიდებლობის მომხრეთა ერთერთი მნიშვნელოვანი მიზანი ეს იყო - ევროკავშირში საკუთარი დამოუკიდებელი წარმომადგენლობა, რომელიც დაიცავს უშუალოდ შოტლანდიის ინეტერსებს (www.scotlandineurope.eu.).

დემოკრატიის დეფიციტი - ერთერთი მთავარი არგუმენტი, რაც გაერთიანებული სამეფოსგან გამოყოფის ბიძგს აძლევდა შოტლანდიის ნაციონალისტურ ძალებს, იყო იმავდროულად ერთერთი მიზეზი, რის გამოც ევროპასთან კავშირს აუცილებელ ელემენტად აღიქვამდა შოტლანდია. იგი საკუთარ პოლიტიკურ ღირებულებებს ევროკავშირის ღირებულებებთან აიგივებდა. დამოუკიდებელი შოტლანდიის იდეასთან ერთად, მისი მომავალი წყობისა და საკონსტიტუციო მოდელის ვერსიების განხილვისას ცალსახად ლიბერალური დემოკრატიის იდეა იყო დომინანტი. ვესტმინსტერისგან გათავისუფლება შოტლანდიელთა აზრით მეტად სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობის მთავარი პირობა იყო.

SNP-ს მიერ 2002 წელს გამოქვეყნებულ გეგმაში, სადაც მან დამოუკიდებელი შოტლანდიის მომავლის შესახებ საკუთარი ხედვა წარმოადგინა, საუბარია „ნორმალური, ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოს“ შექმნაზე. ელიოტ ბულმერს თავის ნაშრომში განხილული აქვს თუ რას ნიშნავდა ეს „ნორმალური, ევროპული დემოკრატია.“ მინიმუმ ეს ნიშნავდა იმას, რომ შოტლანდიის კონსტიტუციას ქვეყანა უნდა გაეხადა კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისი.

კოპენჰაგენის კრიტერიუმები გულისხმობს იმ მთავარ პირობებს, რომლებსაც ნებისმიერი მსურველი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს იმისათვის, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ნიშნავს იმ ინსტიტუტების

სტაბილურობას, რომლებიც დემოკრატიის გარანტიას იძლევა, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებათა დაცვას და უმცირესობათა პატივისცემას და დაცვას; ეკონომიკური კუთხით - ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და უნარი, რომ თავი გაართვას კონკურენციას; ადმინისრაციული და ინსტიტუციური უნარი, რომ ეფექტურად მოახდინოს ყველა კანონისა და წესების იმპლემენტაცია და აიღოს საკუთარ თავზე წევრობის ვალდებულებები (https://ec.europa.eu).

„ნორმალური, ევროპული დემოკრატიის“ გაგება ორგვარი იყო. პირველი, შოტლანდიის კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო იმ ფორმის, სტანდარტისა და ტექნიკური ხარისხის, რომელიც იქნებოდა სხვა ევროპული დემოკრატიების კონსტიტუციების ექვივალენტური. მეორე, დემოკრატიის ხარისხი, რომელსაც დამოუკიდებელი შოტლანდიის მოქალაქეები საკუთარ თავზე გამოცდიდნენ, წარმომადგენლობის, მონაწილეობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და უფლებების თვალსაზრისით, უნდა ყოფილიყო დანარჩენი ევროპული ქვეყნების დემოკრატიის ხარისხის ექვივალენტური. „ნორმალური ევროპული დემოკრატია“ ვესტმინსტერის სისტემას უპირისპირდებოდა, რომელიც ბევრ საკითხში ევროპული ნორმების შეუსაბამო იყო. შოტლანდიის სურვილი, “ნორმალური ევროპული დემოკრატიის შექმნისა,” გულისხმობდა ვესტმინსტერის მოდელის უარყოფას, თავისი უბრალო უმრავლესობით არჩევნების სისტემით და საპარლამენტო სუვერენიტეტით, სამეფო პრეროგატივებით და მთავრობის გადაჭარბებული უფლებებით, და არჩევანის გაკეთებას უფრო კონტინენტური მიდგომის სასარგებლოდ. არსებული ვესტმინსტერის სტილის კონსტიტუცია - ბრიტანეთის მთავრობის მიერ კოლონიური უწყების ნაშთებიდან აღებული და ნაჩქარევად შედგენილი - შოტლანდიის დემოკრატიულ მისწრაფებებთან შეუსაბამო იქნებოდა.

შოტლანდიის კონსტიტუციური სურვილების ევროპულ ნორმებზე დაფუძნება არამარტო დაიცავდა მას გადაჭარბებული კონსერვატიზმისგან და ვესტმინსტერის ტრადიციებზე ზედმეტი დამოკიდებულებისგან, ის ასევე ეფექტური იქნებოდა პირიქით, ზემდმეტი რადიკალიზმისა და ამბიციურობის გამოსარიცხადაც. თუ შოტლანდიელებს უნდოდათ, ევროპული დემოკრატიის შექმნა, მათი ხედვა უნდა დაფუძნებოდა ედინბურგის 21-ე საუკუნეში გადაყვანას; ისინი უნდა დაყრდნობოდნენ

რეალობას და იმ პრაქტიკას და გამოცდილებას, რაც მსგავს ქვეყნებში არსებობდა და არა უტოპიურ რწმენებს. (Bulmer, 2011, 43-44)

სირთულეები ხელახალ გაწევრიანებასთან დაკავშირებით:

No კამპანიის მომხრეები ხაზს უსვამდნენ იმ სირთულეებს, რასაც შეიძლებოდა გადაჰყროდა შოტლანდია გამოყოფის შემთხვევაში. ისინი ამბობდნენ, შოტლანდიის ხელახალი გაწევრიანება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, რადგან გაწევრიანებისთვის საჭიროა ყველა წევრის თანხმობა, ყველა ქვეყანა კი არ აღიარებდა შოტლანდიის დამოუკიდებლობას პოლიტიკური მიზეზების გამო და ამის უპირველეს მაგალითად ესპანეთს ასახელებდნენ, ვინაიდან მას სეპარატიზმის პრობლემა აქვს საკუთარ ქვეყანაში და შოტლანდიის ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება და მისი ევროკავშირში გაწევრიანებაზე დათანხმება არალოგიკური იქნებოდა კატალონიის სეპარატიზმის გათვალისწინებით. ამიტომ მათი აზრით, ესპანეთი აუცილებლად გამოიყენებდა ვეტოს უფლებას. ევროპული კომისიის პრეზიდენტის, ხოსე მანუელ ბაროზოს თქმით, ესპანეთი როგორც არ აღიარებდა კოსოვოს, ასევე იქნებოდა შოტლანდიის შემთხვევაშიც. BBC -თვის მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობს, რომ შოტლანდიის ევროკავშირში დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელით შესვლა იქნება „ძალიან რთული, თუ არა შეუძლებელი.“ (Fox, 2014). ბაროზოს თქმით, რა თქმა უნდა ეს საკითხი თავად შოტლანდიელი ხალხისა და დიდი ბრიტანეთის გადასაწყვეტი იყო და ის ვერანაირ დაბრკოლებას ვერ შეუქმნიდა ხალხის ნებას, თუმცა ევროკავშირში გაწევრიანება იმის გათვალისწინებით, რომ ყველა დანარჩენმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დაადასტუროს ამავე კავშირის წევრი ერთერთი მათგანისგან გამოყოფილი პოლიტიკური ერთეულის დამოუკიდებლობა და მიიღოს როგორც სრულუფლებიანი წევრი, თითქმის შეუძლებელია (www.bbc.com. 2014).

ამასთან დაკავშირებით, შოტლანდიის ფინანსთა მინისტრმა, ჯონ სვინიმ განაცხადა, რომ ევროპული კომისიის პრეზიდენტის განცხადება, ცოტა არ იყოს, უაზრო და წარმოუდგენელი იყო, რადგან შოტლანდიისა და კოსოვოს შედარება ერთმანეთთან არ შეიძლებოდა. მისი თქმით, შოტლანდია უკვე ევროკავშირის წევრი იყო 40 წლის განმავლობაში, ისინი უკვე იყვნენ ევროკავშირში, ხოლო ესპანეთის მთავრობას არაფერი ექნებოდა სათქმელი შოტლანდიის საკითხთან დაკავშირებით, თუ ეს საკითხი

ბრიტანეთსა და შოტლანდიას შორის კანონიერად მოგვარდებოდა. SNP-ს სხვა წარმომადგენლებიც ბაროზოს კომენტარს აბსურდს უწოდებდნენ. ალექს სალმონდის თქმით, იმის თქმა, რომ ევროკავშირი არ არის კლუბი წევრი ქვეყნებისთვის, ან წევრობის მსურველი ერებისთვის, ძალიან დიდი და რევოლუციური ნაბიჯი იყო (www.bbc.com. 2014).

ჩემი აზრით, ესპანეთისა და შოტლანდიის ქეისების შედარებაც არ არის მართებული, რადგან შოტლანდიის შემთხვევაში თავად დიდი ბრიტანეთისგან იყო ნებართვა რეფერენდუმის ჩატარებაზე და ამ მხრივ კანონიერად იყო ყველაფერი. რასაც ვერ ვიტყვით კატალონიის შემთხვევაზე, რომლის გამოყოფასაც ესპანეთის კანონი არ აღიარებდა და არავითარი რეფერენდუმის ჩატარების უფლებას არ ითვალისწინებდა. სხვა საკითხია, აქვს თუ არა საერთოდ კატალონიას თვითგამორკვევის უფლება და ითვლება თუ არა ერად. კატალონიელი ხალხი არ არის აღიარებული როგორც ერი, განსხვავებით შოტლანდიელებისგან (Duclos, 2015).

შოტლანდია, ხალხის სურვილის შემთხვევაში, აღიარებული იქნებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ თავად ბრიტანეთის მიერ, ამიტომ თუ თავად ის ქვეყანა, რომლის შემადგენლობაშიც იყო, აღიარებს მის დამოუკიდებლობას და ეს ყველაფერი კანონიერი და დემოკრატიული გზით მოხდება, სხვა არცერთ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონოდა რაიმე საფუძველი მისი არაღიარებისა. მაგრამ ესპანეთი ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ იგი დაბლოკავდა შოტლანდიის განაცხადს ევროკავშირის წევრობის თაობაზე. ეჭვის საფუძველიც არ არსებობდა, რომ იგივე მიდგომა გავრცელდებოდა კატალონიის შემთხვევაშიც და, სავარაუდოდ, ეს არ იქნებოდა მხოლოდ ესპანეთის პოზიცია. ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოები, რომლებსაც სეცესიის სერიოზული საფრთხე ემუქრებათ, ასევე არ დაუჭერენ მხარს შოტლანდიის და კატალონიის დამოუკიდებლობას. მით უმეტეს, რომ მსგავსი პრინციპულობის მაგალითი არაერთი ყოფილა ევროკავშირის არსებობის ისტორიაში. კოსოვოს შემთხვევაშიც კი, რომლის დამოუკიდებლობაც მნიშვნელოვანწილად სწორედ ბრიუსელმა განაპირობა, ევროკავშირის 4 წევრი სახელმწიფო დღემდე არ აღიარებს პრიშტინას დამოუკიდებლობას. მათ შორის, ლოგიკური მიზეზებით, არის ესპანეთიც (თაბაგარი, 2014).

მეორე მხრივ, ბრიტანეთში დარჩენის მომხრე, ლეიბორისტების ლიდერი ედ მილიბენდი აცხადებდა, რომ მათ შეეძლოთ შოტლანდიელი ხალხისთვის მიეცათ მეტი იმედი და დაერწმუნებინათ, რომ ბრიტანეთში დარჩენის შემთხვევაში მათ შეეძლოთ შეექმნათ სოციალურად უფრო სამართლიანი ქვეყანა, ვიდრე მთელი ის რისკები, რაც დაკავშირებული იქნებოდა შოტლანდიის გასვლასთან. Better Together კამპანიის ხელმძღვანელი ალისტერ დარლინგი ამბობდა, რომ ალექს სალმონდი იყო კაცი ყოველგვარი გეგმის გარეშე. ბუნდოვანება როგორც ფულის ერთეულის, ისე ევროპის საკითხთან დაკავშირებით ძალიან არასასურველ რისკებს მოუტანდა შოტლანდიას, თუ ისე მოხდებოდა, რომ მოსახლეობა გამოყოფას მისცემდა ხმას (www.bbc.com, 2014).

დამოუკიდებლობობის აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ ბრიტანეთი მხარს დაუჭერდა შოტლანდიის გაწევრიანებას ევროკავშირში. ამასთან დაკავშირებით yougov-ის მიერ 2014 წლის აპრილში ჩატარდა გამოკითხვა კითხვით: თუ შოტლანდია გახდება დამოუკიდებელი, ეთანხმებით თუ არა იმას, რომ დანარჩენმა ბრიტანეთმა მხარი უნდა დაუჭიროს მის გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატოში? შედეგების მიხედვით, უმრავლესობის აზრი იყო, რომ არც უნდა დაეჭირა მხარი და არც დაებლოკა, ხოლო შემდეგ ადგილზე იყო მოსაზრება, რომ მკაცრად უარი უნდა ეთქვა.

სურათი №2



წყარო: Whatscotlandthinks.org

შოტლანდიაში გამოყოფის მომხრეები თვლიდნენ, რომ შოტლანდია დიდი ალბათობით კავშირში უნდა დარჩენილიყო, რადგან ევროპა, როგორც ლიბერალური პრინციპებისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დამცველი, ვერ უარყოფდა შოტლანდიის მიერ საკუთარი დემოკრატიული, სამართლებრივი და კონსტიტუციური უფლების გამოყენებას. ძალიან ცუდი ტონი იქნებოდა მისი მხრიდან ხალხის მიერ თვითგამორკვევის მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით განხორციელების უგულებელყოფა და მისი გამოთიშვა გაერთიანებიდან. მათი აზრით, კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც თავად ევროპისთვის არ იქნებოდა მომგებიანი შოტლანდიის კავშირის გარეთ დატოვება, არის ბაზრის დანაწევრება, სიცარიელის გაჩენა ერთიან ეკონომიკაში, რაც საზიანო იქნებოდა როგორც დანარჩენი ბრიტანეთისთვის, ისე ევროკავშირის ყველა სხვა წევრისთვის, ბიზნესისა და მოქალაქეებისთვის.

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად ევროკავშირის ლიდერები აშკარად აცხადებდნენ იმის შესახებ, რომ შოტლანდია ვერ გახდებოდა ავტომატურად ევროკავშირის წევრი. იგი უნდა გამხდარიყო აპლიკანტი ქვეყანა ევროკავშირის

ხელშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, როგორც ნებისმიერი ახალი მსურველი სახელმწიფო.

პირველი გამოხმაურება და ოფიციალური განცხადება ევროპული კომისიის მხრიდან იყო კომისიის პრეზიდენტის, რომანო პროდის გამოსვლა. მისი განცხადების მიხედვით: „ხელშეკრულებები ეხება წევრ სახელმწიფოებს. როცა სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი წყვეტს მის ნაწილად ყოფნას, მაგალითად, იმიტომ რომ ეს ნაწილი ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხელშეკრულებები მის ტერიტორიაზე აღარ გავრცელდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი დამოუკიდებელი რეგიონი, მისი დამოუკიდებლობის ფაქტიდან გამომდინარე, ხდება მესამე ქვეყანა ამ გაერთიანებასთან მიმართებაში და ხელშეკრულებები, მისი დამოუკიდებლობის დღიდან უკვე აღარ გავრცელდება მასზე.“ ის ამბობდა, რომ 49-ე მუხლის მიხედვით შეეძლო შოტლანდიას მოქმედება, იმ შემთხვევაში, თუ გახდებოდა დამოუკიდებელი. ბაროზომაც ფაქტობრივად იგივე გაიმეროა სიტყვასიტყვით და დაამატა, რომ კომისია გამოხატავს თავის პოზიციას ევროკავშირის სამართლის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო მოითხოვს დეტალურ ინფორმაციას მოსალოდნელი სცენარის შესახებ. წევრმა სახელმწიფომ, ანუ დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა ამ მოთხოვნის წარდგენაზე, ვინაიდან ეს იქნებოდა ერთგვარი აღიარება ამ სეპარაციის, მისი დადასტურება და დაკანონება წინასწარი მოლაპარაკებების სახით (Kenealy & MacLennan, 2014).

აღნიშნული 49-ე მუხლის მიხედვით: ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც აფასებს ამ ხელშეკრულების მეორე მუხლში განხილულ ღირებულებებს და მოწოდებულია მათი ხელშეწყობისთვის, შეუძლია კავშირში გაწევრიანების სურვილი გამოთქვას. ევროპული პარლამენტი და ეროვნული პარლამენტები უნდა იყვნენ ინფორმიებული ამის შესახებ. აპლიკანტმა სახელმწიფომ განაცხადით უნდა მიმართოს საბჭოს, რომელიც მოქმედებს ერთსულოვნად კომისიასთან კონსულტაციის გავლისა და ევროპარლამენტის თანხმობის მიღების შემდეგ, რომელიც მოქმედებს თავისი წევრი ქვეყნების უმრავლესობის გადაწყვეტილებით. ევროპული საბჭოს მიერ განსაზღვრული პირობები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს რათა მიიღონ, უნდა იყოს გათვალისწინებული.

მიღების პირობები და იმ ხელშეკრულებებზე მორგება, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი, არის აპლიკანტი ქვეყნისა და დანარჩენი წევრი სახელმწიფოების შეთანხმების საგანი. ეს შეთანხმება შემდეგ წარედგინება ყველა კონტრაქტორ ქვეყანას რატიფიკაციისთვის.(https://eur-lex.europa.eu.)

შოტლანდიის მთავრობის მეთაურის, ნიკოლა სტარჯენისა და კომისიის ვიცე-პრეზიდენტის მიერ წერილების გაცვლა დიდად მნიშველოვანი მოვლენა არ ყოფილა. ნიკოლა სტარჯენმა შოტლანდიის პარლამენტში ბაროზოს საპასუხოდ ასეთი განცხადება გააკეთა: „ევროპული კომისია არ არის საბოლოო არბიტრი ამ მოვლენებში. ევროკავშირის ხელშეკრულებებში აბსოლუტურად არ არის რაიმე დებულება ხელშეკრულებების გაუქმების, ან ევროკავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ ქვეყნისა და იმ ხალხისთვის, რომელმაც თვითგამორკვევის თავისი დემოკრატიული უფლება გამოიყენა.“ ევროკავშირი ქმნიდა სიტუაციას და რწმენას, რომ ოდესღაც შოტლანდია ევროკავშირის გარეთ აღმოჩნდებოდა. მოვლენების ასეთი განვითარება საბოლოოდ გამოიხატებოდა ევროკავშირის ერთიანი ბაზრის დაშლაში, სტუდენტების, ინვესტორებისა და მუშახელის სტატუსი კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.

Kenealy და MacLennan-ის აზრით, ორი მთავარი პრობლემა იყო ევროკომისიის პოზიციასთან დაკავშირებით. პირველი იყო ის, რომ გაურკვეველი იყო, რატომ თვლიდა კომისია თავს შესაბამის ორგანოდ, რომ გადაეწყვიტა ეს საკითხი; ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, როგორც ხელშეკრულებებზე მომუშავე ორგანო, არის პასუხისმგებელი, განსაზღვროს ევროკავშირის კომპეტენცია სახელმწიფოთა წინააღმდეგ. თუმცა მაინც ბუნდოვანი რჩება, რას აფუძნებდნენ პროდი და ბაროზო თავიანთ ინტერპრეტაციას და როგორ ხედავდნენ ისინი ევროკავშირის სამართლის ბუნებას. 49-ე მუხლის აზრი სახელმწიფოს მიღების პროცესთან დაკავშირებით გასაგებია, მაგრამ გაუგებარი იყო ის, თუ რატომ უნდა მიჩნეულიყო შოტლანდია ევროკავშირის გარეთ. აშკარა იყო, რომ ევროკომისია საკუთარ პოზიციას ევროკავშირის სამართალს კი არა, საჯარო საერთაშორისო სამართალს და სახელმწიფოს გაგრძელებისა და სამართალმემკვიდრეობის შესახებ კანონს აფუძნებდნენ. ბაროზოს მიერ BBC-ზე გაკეთებული ერთერთი განცხადება ასე ჟღერდა: „ჩვენ ვართ სახელმწიფოთა კავშირი. მაშასადამე, თუ გამოჩნდა ახალი მსურველი სახელმწიფო, რა თქმა უნდა, მან

განაცხადი უნდა გააკეთოს გაწევრიანებაზე და პირობებზე მოლაპარაკებები აწარმოოს სხვა წევრ სახელმწიფოებთან. ევროკავშირის სამართალზე დაყრდნობით, ეს ნამდვილად ახალი სახელმწიფოა. როცა ქვეყანა ხდება დამოუკიდებელი, ის ახალი სახელმწიფოა და ის ვალდებულია მოლაპარაკებები აწარმოოს ევროკავშირთან“ (Kenealy & MacLennan, 2014). აღნიშნული საკითხი, თუ რამდენად სამართლიანი იყო კომისიის პოზიცია და რამდენად კომპეტენტური იყო ის მსგავს საკითხებთან მიმართებაში, ცალკე კვლევის საკითხია. თუმცა ფაქტია, რომ ამგვარ პოზიციას გავლენა ჰქონდა შოტლანდიის მოსახლეობაზე და მათ გადაწყვეტილებაზე.

როგორც ვხედავთ, შოტლანდიას მოუწევდა ძალიან რთული გზის გავლა და კიდევ ერთი პრობლემა იყო ის, რომ თუ ამ რთული გზის გავლის შემდეგ მაინც მოახერხებდა შოტლანდია ევროკავშირში გაერთიანებას, მას მოუწევდა ევროს მიღება, რაზეც სალმონდი ცივ უარს აცხადებდა. ეს კი ყველაფერს კიდევ უფრო ართულებდა. ევროკავშირის წესების მიხედვით, ევრო აუცილებლად ნებისმიერი წევრი ქვეყნის ვალუტა უნდა გამხდარიყო, გამონაკლისებს წარმოადგენს გაერთიანებული სამეფო და დანია. შესაბამისად, შოტლანდიის მოსახლეობის ერთერთი მთავარი შემაფერხებელი და საზოგადოების უარყოფითი განწყობის შემქმნელი სწორედ ეს იზოლაციის შიში იყო.

შოტლანდიელი ნაციონალისტის, სტეფან მაქსველის თქმით, რაც არ უნდა ბევრი დამამტკიცებელი საბუთი და იურიდიული არგუმენტი ჰქონოდათ შოტლანდიის კავშირში მიღების უფლებების შესახებ, ძალიან დაბალი იყო ალბათობა, რომ ამ ყველაფერს გადაეწონა ევროკავშირის პოლიტიკური ინტერესი და მიღებული პრაქტიკა.

როგორც გამოყოფის მომხრეებს, ისე მოწინააღმდეგეებს ესმოდათ, რომ ევროკავშირის წევრობა ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორი იყო ამ რეფერენდუმში. შოტლანდიის ნაციონალური პარტია ამბობდა, რომ დამოუკიდებლობა ევროპაში ერთადერთი ეკონომიკურად განხორციელებადი ვერსია იყო. ანუ თუ შოტლანდია გახდებოდა ევროკავშირის წევრი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა ეკონომიკურად გადარჩენას და ნორმალურ განვითარებას (Zuleeg, 2014).

მოსახლეობის იდენტობა და განწყობა

შოტლანდიის რეფერენდუმის შედეგების შესწავლისას მნიშვნელოვანია მოსახლეობის განწყობის შესწავლა, ვინაიდან ობიექტური ფაქტების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე დგას რეფერენდუიმის ბედი. იმის საჩვენებლად, თუ რა იყო მთავარი განმსაზღვრელი მოსახლეობის განწყობის ჩამოყალიბებაში, და რამდენად ჰქონდა მას გააზრებული ზემოთ მოყვანილი ფაქტები, გამოვყავი შემდეგი ფაქტორები:

1. მოსახლეობის იდენტობა და ნაციონალიზმის ხარისხი;

2. კამპანიების გავლენა;

3. მთავარი ფაქტორი მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით, რასაც პრიორიტეტი მიენიჭა ხმის მიცემისას

უნდა შემოწმდეს პიროვნული აღქმებისა და იდენტობის გავლენა. რა როლი ითამაშა იდენტობამ და ნაციონალიზმმა არსებული შედეგის მიღებაში და რამდენად ძლიერი იყო ნაციონალიზმი. ასევე, კამპანიების გავლენას რაც შეეხება, მიუხედავად დარჩენისა და გამოყოფის მომხრეთა კამპანიებისა, რომლებსაც გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, ჰქონდა გავლენა მოსახლეობის ნაწილზე, უმეტესობის აზრზე მაინც ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა კამპანიები და მოწოდებები, ვნახავთ, რომ არ უმოქმედია. ისინი უფრო ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული, როგორიცაა ევროკავშირის წევრობის შესაძლებლობა დამოუკიდებლობის შემთხვევაში და მოსალოდნელი დაბრკოლებები, რაც შეიძლებოდა მას ჰქონოდა ხელახალი გაწევრიანებისას. დამოკიდებულება პოლიტიკური საკითხების მიმართ არ ყალიბდება ვაკუუმში, ისინი იქმნება სოციო-ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე და ადამიანის ინტერესებს ეყრდნობა.

ეროვნული იდენტობის კვლევისას მოსალოდნელია, რომ ის ვინც თავს თვლიდა უფრო მეტად შოტლანდიელად, ვიდრე ბრიტანელად, ხმას მისცემდა დამოუკიდებლობას, ხოლო ვინც საკუთარ თავს აღიქვამდა პირველ რიგში ბრიტანელად, ის გაერთიანებაში დარჩენას დაუჭერდა მხარს, თუმცა მიუხედავად ნაციონალიზმის მაღალი მაჩვენებლისა, როგორც ეს სურათი №3 -ზე და №4-ზეა ნაჩვენები, რეფერენდუმის შედეგები არ აღმოჩნდა ამ მოსაზრების შესაბამისი.

სურათი №3



წყარო: whatscotlandthinks.org

სურათი №4



წყარო: whatscotlandthinks.org

როგორც მოცემულია პირველ გრაფიკზე, სადაც გამოკითხულებს შეეძლოთ აერჩიათ ბრიტანელსა და შოტლანდიელს შორის უფრო რომლისკენ იხდებოდნენ, ჩანს, რომ თითქმის ყოველთვის შოტლანდიის მოსახლეობის უმეტესობა თავს თვლიდა ცალსახად შოტლანდიელად, ან უფრო შოტლანდიელად, ვიდრე ბრიტანელად. ბოლო წლებში გაუთანაბრდა ამ მაჩვენებელს თანაბრად შოტლანდიელისა და ბრიტანელის იდენტობა. ხოლო მეორე გრაფიკზე, ნაჩვენებია გამოკითხვის შედეგები, რომელშიც მკაცრად იყო განსაზღვული ეთნიკური მიკუთვნებულობა ერთერთი მათგანის მიმართ, მაგალთად, უნდა აერჩიათ ან მხოლოდ ბრიტანელი, ან მხოლოდ შოტლანდიელი, ან მხოლოდ ინგლისელი და ა.შ. აქ უკვე ცალსახად დიდი უმრავლესობა თავს შოტლანდიელად თვლდა.

ამ მონაცემების მიხედვით, ნაციონალიზმის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო, რაც ლოგიკურად დამოუკიდებლობის მომხრეთა მაღალ რიცხვს უნდა ნიშნავდეს, თუმცა ამის მიუხედავად, რეფერენდუმის შედეგი პარადოქსული აღმოჩნდა. <u>გამოდის, რომ მხოლოდ ნაციონალიზმის ხარისხი არ არის გადამწყვეტი დამოუკიდებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და აქ სხვა ფაქტორებმა იჩინა თავი, რამაც გადაწონა ნაციონალისტური გრძნობები.</u>

სურათი №5



წყარო: whatscotlandthinks.org

საინტერესოა შოტლანდიელთა იდენტობის შემოწმება რეფერენდუმის შემდეგ. იდენტობის დასადგენი გამოკითხვა ჩატარდა რეფერენდუმის შემდეგაც რომელიც გამოსახულია სურათი №5-ზე და ჩანს, რომ არაფერი შეცვლილა ამ მხრივ, ნაციონალიზმის დონე ცალსახად მაღალია და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თავს შოტლანდიელად თვლის და არა ბრიტანელად.

სურათი №6



წყარო: whatscotlandthinks.org

და ასევე მოსახლეობის უმრავლესობა ისევ მხარს უჭერს დამოუკიდებელი შოტლანდიის ევროკავშირში შესვლას, როგორც ეს ზემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

ქვემოთ მოცემულია პროფესორების ალისა ჰენდერსონისა და ჯეიმს მიჩელის მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები ედინბურგის უნივერსიტეტის გამოცემით, რომელიც დაფინანსებული იყო ESRC -ის მიერ და ეყრდნობა YouGov-ის გამოკითხვებს:

სურათი №7



სხვადასხვა კამპანიების საქმიანობამ რამდენად იქონია გავლენა მოსახლეობის აზრზე და შეცვალა თუ არა რეფერენდუმის შედეგი ამის დანახვაში სურათი №7-ზე მოცემული დიაგრამა გვეხმარება, სადაც ვხედავთ, რომ Yes და No კამპანიებს შედეგებზე ძალიან დაბალი ხარისხის გავლენა ჰქონდა. იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც აზრი შეიცვალა, 1,5%-ს არ სცდება. <u>როგორც გამოჩნდა, კამპანიების მოქმედება არ არის მთავარი განმსაზღვრელი შოტლანდიელი ხალხის გადაწყვეტილებაში.</u>

სურათი №8



წყარო: whatscotlandthinks.org

სურათი №8-ზე გამოსახულია გამოკითხვის შედეგები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფაქტორი იყო ყველაზე მთავარი შოტლანდიელი მოსახლეობისთვის, რასაც დაეყრდნობოდა რეფერენდუმში ხმის მიცემისას. სურათზე ჩანს, რომ ურავლესობისთვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია ეკონომიკური მომავალი და მომავალი თაობისთვის არსებული პერსპექტივები. ეს ადასტურებს მოსაზრებას, რომ მოსახლეობისთვის ევროკავშირში დარჩენა მთავარი განმსაზღვრელი იქნებოდა, რამაც გადაწყვიტა კიდეც რეფერენდუმის ბედი; რადგან აღნიშნული გამოკითხვის მიხედვით დასახელებული წამყვანი ფაქტორების სტაბილურობას შოტლანდიელი ამომრჩეველი სწორედ ევროკავშირის წევრობას უკავშირებდა.

ბრიტანეთში დარჩენის შედეგი: Devo-max და მეტი ძალაუფლება ვესტმინსტერისგან

თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთიც ცდილობდა ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებას და შოტლანდიის გადმობირებას დაპირებებით. როგორც ბოლო წუთის შეთავაზება, რომელსაც უნდა გადაერჩინა კავშირი, დევიდ კამერონმა, ედ მილიბენდმა და ნიკ კლეგმა ხელი მოაწერეს გადაწყვეტილებას, მიეცათ შოტლანდიისთვის სრული თავისუფლება გადასახადების, შემოსავლებისა და დანახარჯების განკარგვის სფეროში, რამაც შეცვალა მათი აზრი, ვინც ფიქრობდა, რომ ასეთი უფლებები მხოლოდ დამოუკიდებლობის ფარგლებში იყო შესაძლებელი. შოტლანდიამ მიიღო დაპირება, რომ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენის შემთხვევაში, მიიღებდა სრულ ფისკალურ ავტონომიას, რაც Devo-max სახელითაა ცნობილი, ანუ მაქსიმალური დევოლუცია.

საბოლოოდ, როგორც ვნახეთ, შოტლანდიამ გადაწყვიტა დამოუკიდებლობაზე უარი ეთქვა და დიდ ბრიტანეთში დარჩენილიყო, რის სანაცვლოდაც მან მიიღო დაპირებული უფლებები. მოცემულ თავში აღწერილია, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა შოტლანდია გაერთიანებულ სამეფოში და რა ეფექტი ჰქონდა მის გადაწყვეტილებას დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

გიორგი გორაძის ნაშრომში, რომელიც ეხება დევოლუციას შოტლანდიაში, აღწერილი და გაანალიზებულია, კონკრეტულად რა უფლებები გადასცა შოტლანდიას დიდმა ბრიტანეთმა. გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრმა, დევიდ კამერონმა პრაქტიკულად რეფერენდუმის მეორე დღიდანვე დაიწყო თავისი დაპირების შესრულება, რომ მნიშვნელოვნად გააფართოებდა შოტლანდიის ავტონომიურ უფლებებს ამ მიზნით, მან განაცხადა თავისი გადაწყვეტილება, შეექმნა ინტერპარტიული კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროექტი შოტლანდიისთვის კომპეტენციათა გადაცემის თაობაზე. კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა კელვინის ლორდი რობერტ სმიტი (Lord Smith of Kelvin), რის გამოც ამ კომისიას სმიტის კომისია ეწოდა. სმიტის ინტერპარტიულმა კომისიამ, რომელშიც შედიოდა შოტლანდიის კონსერვატიულ-უნიონისტური პარტიის, შოტლანდიის მწვანეთა პარტიის, შოტლანდიის ლეიბორისტული პარტიის, შოტლანდიის

ლიბერალური პარტიისა და შოტლანდიის ნაციონალური პარტიის ორ-ორი წარმომადგენელი, მალევე შეიმუშავა ძირითადი ფუძემდებლური პრინციპები. ამ პრინციპების მიხედვით, კომისიის მიერ შემუშავებულ საბოლოო დოკუმენტს:

1. უნდა ჩემოეყალიბებინა მნიშვნელოვანი და მტკიცე უფლებამოსილებათა პაკეტი, რაც არსებითი იქნებოდა შოტლანდიელი ხალხისთვის თავისი მიზნების მისაღწევად;
2. უნდა გაეძლიერებინა შოტლანდიის დევოლუციის ხარისხი და შოტლანდიის პარლამენტი გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში (პარლამენტის ფინანსური პასუხისმგებლობის დონის ჩათვლით);
3. უნდა განემტკიცებინა დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგი, რომელიც გაამყარებდა შოტლანდიის ადგილს გაერთიანებულ სამეფოში და გააძლიერებდა ურთიერთთანამშრომლობასა და პარტნიორობას;
4. არ უნდა ჰქონოდა დამოკიდებულება გაერთიანებულ სამეფოში გამართულ სხვა პოლიტიკური მოლაპარაკების შედეგებზე;
5. არ უნდა დაეზარალებინა როგორც მთლიანად გაერთიანებული სამეფო, ისე მისი ნებისმიერი შემადგენელი ნაწილი;
6. არ უნდა გამოეწვია ფინანსური შემოსავალი ან დანაკარგი არც გაერთიანებულ სამეფოსა და არც შოტლანდიის მთავრობისათვის, როგორც სპეციფიკური უფლებამოსილების გადაცემის შედეგი.
7. შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო შოტლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო ვალდებულებებთან, ევროკავშირის კანონმდებლობის ჩათვლით; ასევე, პოტენციურად დაკავშირებული ხარჯების ფართო გაგებასთან, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მისი იმპლემენტირება პრაქტიკაში.

კომისიამ, ასევე, განსაზღვრა, თუ რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს შოტლანდიის პარლამენტისა და მთავრობისათვის დამატებითი კომპეტენციების გადაცემა:

- შოტლანდიის მართვის მტკიცე და ამავე დროს, პასუხისმგებლიანი კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფა;
- კეთილდღეობის, ჯანსაღი ეკონომიკის, სამუშაო ადგილებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება;

- შოტლანდიის პარლამენტის ფინანსური ანგარიშვალდებულების განმტკიცება.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, 2015 წლის მაისში მართლაც შემუშავდა კანონპროექტების პაკეტი, რომელიც ცნობილია „შოტლანდიის აქტის“ (The Scotland Bill) სახელწოდებით, ხოლო კანონი საბოლოოდ მიღებულ იქნა 2016 წლის 23 მარტს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტით ცვლილებები იქნა შეტანილი მთელ რიგ კანონებში. შოტლანდიისათვის დელეგირებული უფლებები, მათი შინაარსის მიხედვით, შეიძლება პირობითად სამ ნაწილად დაიყოს: 1.პოლიტიკური და მმართველობითი ხასიათის უფლებები; 2.სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და 3. საგადასახადო და საფინანსო ხასიათის უფლებები.

პოლიტიკური და მმართველობითი ხასიათის უფლებები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა შოტლანდიის პარლამენტისა და მთავრობის სტატუსი, არჩევნები, წარმომადგენლობა ევროკავშირში, მაუწყებლობა, ფოსტა, ტრანსპორტი, ენერეგტიკა და ა.შ

სმიტის კომისიის დასკვნითი აქტის 22-ე პუნქტი სავალდებულოდ აცხადებს ე.წ სიველის დებულებას, რომელიც გულისხმობს შოტლანდიის პარლამენტის თანხმობის სავალდებულობას დიდი ბრიტანეთის პარლამენტისთვის, თუ საქმე ეხება შოტლანდიის კომპეტენციის სფეროს.

შოტლანდიის პარლამენტს მიენიჭა ყველა უფლება, შოტლანდიის პარლამენტისა და შოტლანდიაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით. ასევე მას მიეცა უფლება, გადაწყვეტილება მიიღოს ყველა იმ საკითხზე, რომელიც ეხება შოტლანდიის პარლამენტისა და შოტლანდიის მთავრობის მოწყობასა და ფუნქციონირებას. ასევე ყურადღება გამახვილდა მთავრობათაშორისი ურთიერთობების გაღრმავებაზე. ინტენსიური გახდა შოტლანდიისა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტებს შორის თანამშრომლობა.

საგარეო კომპეტენციები დაცული დარჩა ძველებურად, თუმცა იმ პირობით, რომ რეგიონული ადმინისტრაციების შეხედულებები სრულად უნდა იყოს ასახული ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლობაში; უზრუნველყოფილი უნდა იყოს შოტლანდიის მინისტრების ჩართვა გაერთიანებული სამეფოს პოზიციის შემუშავებაში ევროკავშირთან დელეგირებულ საკითხებში.

ასევე ცვლილება შეეხო ე.წ. Crown Estate-ს ანუ „სამეფო მამულს“ - ეს არის იმ მიწებისა და მამულების ერთობლიობა, რომელიც დიდი ბრიტანეთის მონარქის საზოგადოებრივ საკუთრებად ითვლება. სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, შოტლანდიაში ამ Crown Estate-ის ეკონომიკური აქტივების მართვა და იქიდან მიღებული შემოსავლები გადაეცემა შოტლანდიის პარლამენტს.

გარდა ამისა, გაიზარდა შოტლანდიის უფლებები ტრანსპორტის, ენერეგეტიკის, ტელეკომუნიკაციებისა და საფოსტო მომსახურების სფეროშიც (გორაძე, 2016).

ეკონომიკურ კომპეტენციებს რაც შეეხება, აქ თავმოყრილია ისეთი საკითხები, როგორებიცაა საპენსიო უზრუნველყოფა და სახელმწიფო დახმარებები, ჯანდაცვა და დასაქმება, სანაპირო ნავთობისა და გაზის მოპოვება, კონკურნეციის პოლიტიკა, მომხმარებელთა უფლებები და სხვ. სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, ყველა სახის სახელმწიფო პენსია დარჩა საერთო მთელი გაერთიანებული სამეფოსათვის და შესაბამისად, მათზე გადაწყვეტილების მიღების უფლება ექსკლუზიურად შეუნარჩუნდა გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს. რაც შეეხება დახმარებებს, აქ საქმე სხვანაირად არის. გაერთიანებულ სამეფოში მრავალი სახის სახელმწიფო დახმარება და შეღავათი არსებობს, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია უნივერსალური კრედიტი (Universal Credit - UC). სმიტის კომისიამ დაადგინა, რომ უნივერსალური კრედიტის ადმინისტრირება დარჩებოდა ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობაში, თუმცა შოტლანდიის ხელისუფლებას მიეცა ადმინისტრაციული უფლებამოსილება, შეცვალოს UC-ის გადახდის სიხშირე, შეცვალოს არსებული გადახდის გეგმები ცალკეული შინამეურნეობებისათვის და მიწის მესაკუთრეებს გადაუხადოს პირდაპირ საყოფაცხოვრებო მშენებლობის ღირებულება. ასევე, შოტლანდიის პარლამენტს შეუძლია შეცვალოს UC-ის საყოფაცხოვრებო მშენებლობის ღირებულების ელემენტები, რაც მოიცავს ცვლილებას ქვეიჯარის გადასახადისა და ადგილობრივი საყოფაცხოვრებო სუბსიდიების განაკვეთებზე, აგრეთვე, გამოქვითვებს არადამოკიდებულ პირებზე.

გაერთიანებულ სამეფოში კიდევ არის რამდენიმე ტიპის დახმარება და შეღავათი, რომელზე უფლებამოსილებაც შოტლანდიის პარლამენტს გადაეცა. ესენია:

1. შეღავათები მომვლელებისთვის, შშმ პირებისა და ავადმყოფთათვის;

2. შეღავათები, რომლებსაც მოიცავს რეგულირებადი სოციალური ფონდი (Regulated Social Fund): დახმარება ცივი ამინდისთვის (Cold Weather Payment), დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება (Funeral Payment), ფეხმძიმობისა და მშობიარობის გრანტი (Sure Start Maternity Grant) და დახმარება ზამთრის საწვავისთვის (Winter Fuel Payment);
3. დისკრეციული საბინაო დახმარებები (Discretionary Housing Payments – დახმარება ბინის ქირის გადასახდელად დაბალშემოსავლიანი ფიზიკური პირებისათვის)

აღნიშნულ უფლებებთან დაკავშირებით შოტლანდიის პარლამენტს მიენიჭა სრული ავტონომია, განსაზღვროს მათი სტრუქტურა და ოდენობა, აგრეთვე, ნებისმიერ ახალ შეღავათსა და მომსახურებასთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ისინი. ამ შეღავათებთან დაკავშირებით შოტლანდიის, პარლამენტის გადასაწყვეტია ითანმშრომლებს შრომისა და პენსიების დეპარტამენტთან (DWP), თუ შექმნის ცალკე შოტლანდიურ სტრუქტურებს.

შოტლანდიის პარლამენტს, ასევე, მიენიჭა უფლებამოსილებანი, შემოიღოს ახალი დახმარებები მისთვის გადაცემულ სფეროებში,

სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, შოტლანდიის პარლამენტს მიენიჭა ყველანაირი უფლებამოსილება, დაეხმაროს უმუშევრებს დასაქმების პროგრამების მეშვეობით. მას, ასევე, გადაეცა უფლებამოსილება, გადაწყვიტოს, როგორ იფუნქციონიროს უმუშევართა დახმარების სერვისებმა. თუმცა ცვლილებები არ შეხებია საარსებო მინიმუმს და იგი დარჩა პირვანდელი სახით ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობაში.

სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, აბორტისა და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები გადაეცა შოტლანდიას; შოტლანდიის პარლამენტს არ ექნება არანაირი შეზღუდვა საშემოსავლო გადასახადის ზღვრებისა და ოდენობების განსასაზღვრაში და შეეძლება დაადგინოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ.

სმიტის კომისიის დასკვნის მიხედვით, გაერთიანებული სამეფოსა და შოტლანდიის მთავრობები იმუშავებენ ერთად, რათა თავიდან აიცილონ ორმაგი დაბეგვრა და გადასახადის გადამხდელთათვის გაამარტივონ ადმინისტრირება რამდენადაც ეს არის შესაძლებელი (გორაძე, 2018).

დიდმა ბრიტანეთმა, როგორც ვხედავთ, საკამოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა და მთელი რიგი უფლებების დელეგირება მოახდინა შოტლანდიის პარლამენტსა და მთავრობაზე. საბოლოოდ შოტლანდიამ ევროკავშირის წევრობაც შეინარჩუნა და ავტონომიის გაზრდასაც მიაღწია ვესტმინსტერისგან. თუმცა რამდენად სტაბილურია შოტლანდიის მომავალი, ამას მხოლოდ 2014 წლის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით ვერ ვიტყვით. მომდევნო მოვლენები გვაჩვენებს და გვაძლევს იმის ფიქრის საბაბს, რომ შოტლანდიის დამოუკიდებლობის საკითხი ჯერ ისევ აქტიური რჩება. 2016 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ და ბრექსიტის დაწყება ბუნებრივია, შოტლანდიისთვის იქცეა ბიძგის მიმცემად და გამოყოფაზე ფიქრი განახლდა. ახალი რეფერენდუმის ჩატარებას უკვე აანონსებენ კიდეც, რომელიც 2021 წლამდე უნდა ჩატარდეს. 2014 წელს მხოლოდ თავისი გადასაწყვეტი იყო დარჩებოდა თუ არა ბრიტანეთში და შესაბამისად ევროკავშირში, გადაწყვეტილება შოტლანდიელი მოსახლეობის ხელთ იყო, მაგრამ 2016 წლის რეფერენდუმის შედეგებით, რომელშიც მთელი გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის აზრი იყო გათვალისწინებული, მისი არჩევანი უმცირესობაში აღმოჩნდა და შესაბამისად ისევ იმ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რასაც 2014 წლის რეფერენდუმზე ასე ხმამაღლა აჟღერებდა - დემოკრატიის დეფიციტი - მან ვერ მიიღო ის, რასაც მისცა ხმა. ფაქტობრივად მას არჩევანის საშუალება არ მიეცა და ბრექსიტის შემდეგ შოტლანდია უკვე ავტომატურად ევროკავშირის გარეთ რჩება. ეს კი, ბევრის აზრით, ხელს შეუწყობს დამოუკიდებლობის მომხრეთა გააქტიურებას და ახლა მეტი სტიმულით და ახალი ენერგიით აივსება ნაციონალური მოძრაობა, ვინაიდან ის, რაც მისთვის ასეთი მნიშვნელოვანი იყო, ფაქტობრივად უკვე დაკარგულია.

დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა დამოუკიდებლობის საკითხის გამოკვლევას და ამ პროცესში მონაწილე ფაქტორების განსაზღვრას, რომელიც განხილული იყო 2014 წლის შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის მაგალითზე. ნაშრომში გამოყენებულ იქნა ნეოფუნქციონალიზმის თეორია, რომლის საშუალებითაც ახსნილია შოტლანდიის მოსახლეობის გადაწყვეტილება - დამოუკიდებლობაზე უარის თქმა ბრიტანეთსა და ევროკავშირში დარჩენის სანაცვლოდ.

კვლევაში გამოყენებული იყო დოკუმენტები, სამეცნიერო კვლევები და ნაშრომები, ინტერვიუები, YouGov-ისა და WhatScotlandthinks.org-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, ისტორიული ფაქტები და გამოცდილებები, საჯარო გამოსვლები და ინტერვიუები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ მოვლენასთან.

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ შოტლანდიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გადაწყვეტილებაზე მთავარი გავლენა იქონია ევროკავშირის პოზიციამ, რომელიც თვლიდა, რომ დამოუკიდებელი შოტლანდია თავიდან უნდა გაწევრიანებულიყო ევროკავშირში, რაც ძალიან დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული და შესაძლოა შეუძლებელიც გამხდარიყო. იმის გააზრებამ, თუ რა სარგებელი ჰქონდა შოტლანდიას ევროპასთან ურთიერთობით და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის ნაწილად დარჩენა, მოსახლეობა მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ უარი თქვა ნაციონალისტურ გრძნობებზე და დამოუკიდებლობაზე. პრიორიტეტული მისთვის აღმოჩნდა ევროპულ ზონაში დარჩენა, რამაც გადაწონა სხვა მოთხოვნები. საბოლოოდ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენით შოტლანდიამ მიიღო როგორც ევროკავშირის წევრობა, ისე ცენტრალური ხელისუფლებისგან გაზრდილი ავტონომია. კერძოდ მას მიენიჭა მნიშვნელოვანი პრივილეგიები ფინანსურ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ სფეროებში.

შეზღუდვები

მოცემული კვლევის ჩატარებისას იყო გარკვეული ხელისშემშლელი პირობები და გარემოებები, რაც ბუნებრივია, აისახებოდა მის ხარისხზე. ძირითადად ეს შეზღუდვები იმაში გამოიხატა, რომ არ იყო გამოკითხვებისა და ინტერვიუების ჩატარების საშუალება, უშუალოდ შოტლანდიელ ხალხთან ან ექსპერტებთან, რაც უშუალოდ ჩემთვის საინტერესო საკითხების გამოყოფისა და მათზე მეტი ინფორმაციის მოძიების საშუალებას მომცემდა.

ბიბლიოგრაფია

გორაძე, გ. (2016). *დევოლუცია დიდ ბრიტანეთში და შოტლანდიისთვის დელეგირებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული უფლებები.*

გორაძე, გ. (2018). *დევოლუცია გაერთიანებულ სამეფოში: შოტლანდიის გაზრდილი უფლებები სოციალურ-ეკონომიკურ და საგადასახადო-საფინანსო სფეროებში.*

თაბაგარი, გ. (2014). *კატალონიის დამოუკიდებლობის პერსპექტივა. რა ელის სუვერენული შოტლანდიის ეკონომიკას?*
https://agora.ge/new?news_id=6278

შოტლანდია დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფას ხისტი არჩევნებით ცდილობს. (2014).
https://www.radiotavisupleba.ge/a/scotland/26586903.html

Accession criteria. (უთარიღო). 06/07/2019
https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/glossary/terms/accession-criteria_en

Aiton, A., Barlow, D., Evans, A., Kenyon, W., Macpherson, S., Marsh, R., Nordlander, C., Reid, A., Rehfisch A. (2015). *The impact of EU membership in Scotland.*

Broun, D. (2007). *Scottish independence and the idea of Britain***.** Edinburgh University Press.

Buchanan, M. (2012). *Scottish independence referendum: What is devolution max?*
https://www.bbc.com/news/uk-scotland-scotland-politics-17094333

Cheyne, R. (2014). *8 reasons why Scots voted 'No' to independence.*
https://www.rt.com/uk/188952-why-scotland-vote-no/

Chikhoun, L. (2015). *The Scottish Independence Referendum Result: A Question of Interdependence,*

Duclos, N. (2015). *The Strange Case of the Scottish Independence Referendum. Some Elements of Comparison between the Scottish and Catalan Cases.*
https://journals.openedition.org/rfcb/384

EU investment in scottish jobs and skills. (უთარიღო) 05/07/2019
https://www.scotlandineurope.eu/eu_investment_in_scottish_jobs)

Fox, B. (2014). *Joining EU 'difficult if not impossible' for Scotland, Barroso warns***.**
https://euobserver.com/news/123159

Gallagher, J., Lodge, G., McLean, L. (2014). *Scotland's Choices;*

Gray, M. (2013). *10 facts about Scotland's oil and independence;*
http://www.businessforscotland.com/10-facts-about-scotlands-oil-and-independence/

House of Commons, Foreign Affairs Committee. (2013). *Foreign Policy Considerations for the UK and Scotland in the event of Scotland Becoming an Independent Country.*

How Scotland fits into the EU (უთარიღო) 06/07/2019

https://www.scotlandineurope.eu/how_scotland_fits

Keating, M. (2015). *The Scottish Independence Referendum and after*

Kenealy, D. & MacLennan, S. (2014). *Sincere Cooperation, Respect for Democracy and EU Citizenship: Sufficient to Guarantee Scotland's Future in the European Union?*

Kerr, A. (2017). *Scottish devolution referendum: The birth of a parliament,*

https://www.bbc.com/news/uk-scotland-scotland-politics-41189455

Lane, S. (უთარიღო). *Scotland's relationship with the EU.* 05/07/2019

McHarg, A., Mullen, T., Page, A., Walker, N. (2016). *The Scottish Independence Referendum.*

Muro, D. & Vlaskamp, M. C. (2016)**.** *How do prospects of EU membership influence support for secession? A survey experiment in Catalonia and Scotland.*

Prosser, C. (2014). *Personality Prevails: A Political Psychology Perspective on the Scottish Independence Referendum.*

https://blog.politics.ox.ac.uk/personality-prevails-political-psychology-perspective-scottish-independence-referendum/

Rosamond, B. (2000). *Theories of European Integration.*

Scotland in the EU (უთარიღო) 06/07/2019

https://www.scotlandineurope.eu/scotland_in_the_eu

Scottish Government. (2013). *Scotland's Economy, the Case for Independence*

Scottish Government. (2013). *Scotland's future.*

Scottish independence: Barroso says joining EU would be 'difficult', (2014).

https://www.bbc.com/news/uk-scotland-scotland-politics-26215963

Scottish universities (უთარიღო) 05/07/2019

https://www.scotlandineurope.eu/scottish_universities

Torrance, D. (2013). *The Battle for Britain: Scotland and the Independence Referendum;*

Torrance, D. (2014). *100 Days of Hope and Fear.*

The 1979 Referendums, (უთარიღო) 07/07/2019

http://www.bbc.co.uk/news/special/politics97/devolution/scotland/briefing/79referendums.shtml

The benefits of staying IN the EU, (უთარიღო) 06/07/2019

https://greens.scot/benefits-of-staying-in-the-eu

Treaty on the European Union, 02/07/2019

https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:2bf140bf-a3f8-4ab2-b506-fd71826e6da6.0023.02/DOC_1&format=PDF

Zuleeg, F. (2014). *Scotland and the EU: What impact of the potential in-out UK referendum on the independence debate?*

დანართი №1

Ivane Javakhishvili Tbilisi State Univeristy

Nato Davitashvili

Scottish Independence Referendum and the Factors Influencing on its Result

Diplomacy and International Politics

The thesis is written to obtain the master's degree in Diplomacy and International Politics

Thesis advisors:

Associated Professor Sophio Petriashvili

&

International Relations Doctoral Student (Invited Lecturer) George Badridze

Tbilisi

2019